1149/13.532
I-XII
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბურჯი ეროვნებისა

1997 წელი | 1(18) | იანვარი | BURJI EROVNEBISA | ფასი 40 თეთრი






12,2

ჩვენს ხალხს სიყვარულით
მივულოცავ ახალი წლის მობრძა-
ნებას... დაე, 1997 წლიდან ვი-
ცხოვროთ ერთად და ერთსულოვნად
საქართველოში და შევძლოთ
მოვლა-პატრონობა იმ მიწა-წყლის,
რომელიც გვერგება საუკუნოდ
დასაცავად!

ანა კალანდაძე

ინტერვიუ პოეტთან ➤ გვ.2-3

მადლობას მოვახსენებთ სააქციო საზოგა-
დოებას „საქართველოს საფოსტო ბანკი"
(გენერალური დირექტორი -
სერგო იაკობიძე)
თანადგომისა და დახმარებისათვის.

ბესარიონ
ჟორდანიას
საზოგადოების გაზეთი
მთავარი რედაქტორი
გიორგი გოგოლაშვილი
მთავარი რედაქტორის
მოადგილე
იოსებ ჭუმბურიძე
დირექტორი
მირიან ხაჭვანი
რედაქტორები:
ციცინო (ნინო)
კვანტალიანი,
მარინე კიკონიშვილი,
ნანა ლოლაძე,
რამაზ ქურდაძე,
ნინო ჭუმბურიძე
მხატვრული რედაქტორი
ილია ჭრელაშვილი
რედაქციის გამგე
მაია კობიაშვილი
სარედაქციო საბჭო
გენადი ბურჭულაძე
კახა გაბუნია
ლეილა გეგუჩაძე
ქეთევან დათუკიშვილი,
კორნელი დანელია,
რუსუდან ლანდია,
ნანა ურთაშვილი,
ჭაბუკა ქირია,
მიხეილ ქურდიანი,
გიორგი წიბახაშვილი,
თამაზ ხმალაძე,
ნინო ჯღარკავა

მორიგე რედაქტორი
ნანა ლოლაძე

გაზეთი
„ბურჯი ეროვნებისა“
რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში, 1686.
მისამართი:
პ. ინგოროყვას ქ. №8,
ტ. 99-80-46

ინდექსი 76016

## საშობაო-საახალწლო ინტერვიუ

**– ამ ინტერვიუს სათაური წინასწარაა მოფიქრებული: "ენა და ანა". ეს განაპირობა არა მხოლოდ ჩვენი გაზეთის პროფილმა ("ბურჯი ეროვნებისა"), არამედ ენასთან თქვენმა განსაკუთრებულმა დამოკიდებულებამაც. პირველი კითხვაც აქედან გამომდინარეობს: რას ნიშნავს თქვენთვის ქართული ენა?**

– ჯერ კიდევ ბევრი რჩება ამ ქვეყნად ამოუხსნელი, ამოუცნობი და, ამდენად, – განუმარტავიც ალბათ, ამიტომ გამიჭირდება პასუხის გაცემა ამ კითხვაზე. სავსებით დარწმუნებული ვარ, ქართული ენა ჩემთვის (და, საერთოდ, მშობლიური ენისადმი მწერლის დამოკიდებულება!) ზუსტად-უმეტესად იმ რიგისაა, რომელსაც (თუ ხმამაღლა ნათქვამი არ გამოვა!) მხოლოდ და მხოლოდ არაამქვეყნიური ძალა წარმართავს!

**– თქვენზე გადაღებულ, ჩემი აზრით, შესანიშნავ დოკუმენტურ ფილმში ამბობთ, ენათმეცნიერების ინსტიტუტში რომ არ მემუშავა, ის არ ვიქნებოდი, რაც ვარო.**

**თქვენს მკითხველს ვერც კი წარმოუდგენია, რომ ანა კალანდაძე დილით იღვიძებს და, ჩვეულებრივ მოკვდავთა მსგავსად, სამსახურში მიდის. მაინც რა მოგცათ ამ "სამსახურმა"?**

– უფრო შორიდან დავიწყებ: დიახ, ის არ ვიქნებოდი, რაც ვარ, უნივერსიტეტი რომ არა!

უნივერსიტეტში სრულად ვეზიარე ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის მადლს, გამიცხოველდა ინტერესი მშობლიური ქვეყნის ისტორიისადმი. უმდიდრესმა საენათმეცნიერო ლიტერატურამ მსოფლიოს უძველესი ხალხების ცხოვრებაში ჩამახედა. ჩემი ფიქრები თავს ევლებოდნენ ურარტუს ქვაბებს, ხეთების სამეფოებს, მითანის სამეფოს და... ფეხდაფეხ მიჰყვებოდნენ პელასგებს, რომლებიც უკვე "მკვიდრდებოდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე".

ლექსიც ქართულ სიტყვაში მიხდება მუშაობა და, ამდენად, ჩემი კონტაქტი მასთან განუწყვეტელია. პროფესიონალმა ენათმეცნიერულმა ცოდნამ და ძველი ქართული ხელნაწერების განუმეორებელმა პოეტურმა გარემომ დიდი სამსახური გაუწია ჩემს მოწოდებას, გაამდიდრა ჩემი შემოქმედება. ვფიქრობ, უამისოდ ძალიან ბევრს დავკარგავდი.

არ ყოფილა შემთხვევითი, როდესაც თბილისის სასულიერო აკადემიის გახსნაზე სავსებით სამართლიანად აღინიშნა, რომ ჩვენი სასულიერო აკადემიის გაუქმების შემდეგ ახალგაზრდობის ეროვნული სულით აღზრდის უმძიმესი და საპატიო მისია თბილისის უნივერსიტეტმა იტვირთა.

**– თუ გურამ ასათიანს დავუჯერებთ, საქართველოში თქვენი მოვლინება ჯერ კიდევ ვაჟა-ფშაველას ჰქონდა ნაწინასწარმეტყველები ("ანნაბოლოტული"). საერთოდ, აღიარებულია, რომ "ასეთი საკითხები ცაში წყდება", მაგრამ მაინც მინდა გკითხოთ: პოეზია თქვენთვის ბედისწერაა, თუ რაღაც კიდევ სხვა...**

– არის ზოგიერთი მოვლენა, რომლის ახსნა მოკვდავთა ენას არ ძალუძს, გონების ენით კი მას ალბათ, მაინც ბედისწერა ჰქვია!

**– რაკი შემოხვედით [illegible] არც თქვენი სახელია შემთხვევითი. დიდ პოეტებს საქართველოში მხოლოდ სახელით მოიხსენიებენ, მაგრამ, ჩანს, აქ სახელიც ხელს უნდა გიწყობდეს. მაგალითად, ბარათაშვილის სახელს თვით გალაკტიონმაც ვერაფერი მოუხერხა („შოთა, ილია აკაკი, ვაჟა და..."). თქვენ ბედს ამ მხრივაც ვერ დაემდურებით. მაინც ვინ და რატომ დაგარქვათ ანა ახლად გასაბჭოებულ, საერთოდაც "რევოლუციურ" გურიაში?**

– ბებიის სახელი დამარქვეს. მამის დეიდა ანა შარაშიძე, ჩემს დაბადებამდე რამდენიმე თვით ადრე გარდაცვლილიყო. იგი ლეგენდა იყო იმ დროის გურიაში ცნობილი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ლექსიკოგრაფის გიგო (გიორგი)

# ენა

შარაშიძისა. გიგო შარაშიძე მამა გახლდათ ორი ცნობილი პიროვნებისა: ისტორიკოსის ქრისტინე (ნინო) შარაშიძისა (იგი დამფუძნებელი კრების წევრი გახლდათ) და მწერლისა და საზოგადო მოღვაწის შალვა შარაშიძისა (მას ჩვენი საზოგადოება "თავგანის" ფსევდონიმით იცნობდა).

გიგო შარაშიძის შვილიშვილებია: ინჟინერ-მშენებელი, პროფესორი გიორგი ქარცივაძე, რომლის პროექტითაც აიგო თბილისში ორთაჭალესის და ნ. ბარათაშვილის სახელობის ხიდები და სხვ. (გარდაცვალების შემდეგ მას მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია), მისი უმცროსი ძმა, ცნობილი მათემატიკოსი, პროფესორი ბიძი ქარცივაძე და დღეს პარიზში მოღვაწე ენათმეცნიერი გიორგი შარაშიძე (მის შესახებ მშვენიერი წერილი გამოაქვეყნა ბატონმა გურამ შარაძემ წიგნში "უცხოეთის ცის ქვეშ").

გიგო შარაშიძემ შეადგინა "გურული ლექსიკონი", რომელიც ერთ კრებულად გამოიცა ზემოიმერულ და ლეჩხუმურ ლექსიკონებთან ერთად 1938 წელს პროფ. ვუკოლ ბერიძის რედაქციით.

გ. შარაშიძის ბიოგრაფიის ახლო ხნიდან ცნობით, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს თავის "საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში" გამოუყენებია გიგო შარაშიძის ორი ნაშრომი: "ქვეყნის [illegible] გურული ყმის [illegible]" და "გურიაში შეგროვებული სალექსიკონო მასალა". დიდ მეცნიერს გიგო შარაშიძესთან საქმიანი ურთიერთობაც ჰქონია.

**– ვერ წარმომიდგენია კაცი, ანა კალანდაძეს რომ უმტროს, მაგრამ ვაჟა-ფშაველა ამბობს: "კარგია მუდამ მტრიანი". თუ გყოლიათ და თუ გყავთ მტრები? რას იტყოდით მათ შესახებ?**

– უმტრო კაცი არ არსებობს, ცნობილია. მტრობას მეტწილად კვებავს და ასაზრდოებს ადამიანურ მანკიერებათა შორის ყველაზე მდაბალი (და სამარცხვინო) ქვენა გრძნობა, რომელმაც კაცს საკუთარ ძმაზე აღამართვინა ხელი და რასაც ბრძენმა სამამ "მწუხარებაი სხვისა კეთილსა ზედა" უწოდა. ერთი თანამედროვე ქართველი მწერლის მოხდენილ ნათქვამსაც გავიხსენებ: ლექსში ზოგი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სახლის დასახლებად შედის, ზოგი- ნასაქრობად, ზოგიც- მოსაპარავადო.

როდესაც ქვეყანაში მომხდარი ისტორიული ქარტეხილების დროს ხელოვანს ხშირად უსაყვედურებენ უმოქმედობას, საყვედურს ქვეტექსტად ხომ მეტწილად შერისხვა უდევს?! ამიტომ მღვრიე ნაკადთა მიმოდინებაში გარკვევა ნამდვილად გვმართებს, - გვევალება ქვეტექსტების სწორად ამოკითხვა! მართალი კაცის მიმართ "ბოროტეული ხომ ხშირად ისვრის ლაფსა და ტალახს"?!

"ქმნით თათბირი, გაცუდდება! თქვით სიტყვა, არ შესრულდება, რადგანაც ჩვენთან არს ღმერთი"!

**– ქალბატონო ანა, დღეს დიდი მითქმა-მოთქმაა საქართველოში ე.წ. თურქული უნივერსიტეტების გახსნის თაობაზე. ჩვენი გაზეთი თანამიმდევრულად და პრინციპულად იბრძვის ამის წინააღმდეგ. გვინდა თქვენი პოზიციაც ამ მეტად მტკივნეულ საკითხთან დაკავშირებით**

# და ანა

**სწორედ მის ფურცლებზე გამოხატოთ.**

- ახლახან თვალები გამოვიდა წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) სახელობის (ასე აწერია ფორზაცს) სალიტერატურო ჟურნალის "საქართველოს მოამბის", პირველი ნომერი, რადგანაც ჟურნალში გამოქვეყნებულ ჩემს ინტერვიუში ამ საკითხსაც ვეხები, ნება მომეცით, ჩემი მოსაზრება გავიმეორო.

როდესაც ილია ჭავჭავაძემ "ქართველი ხალხის სულიერ ღონეს" დააწერა- "მამული, ენა, სარწმუნოება", ჩინებულად იცოდა, რომ ეს წმინდა სამება "პოლიტიკური ქვითკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გასაერთებლად და შემოსაკრებად", რომ იგი "დულაბობას უწევდა ერთობას".

დიახ, საქართველოს უძველესი შედეგი უძველესი დროიდან დღემდე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას ცდილობდნენ. ეს იყო მათი უპირველესი მოვალეობა, წმიდათაწმიდა მიზანი და სალოცავ მოწოდება! მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ, მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა, ამ სამების მადლი ხშირად ვერ აღწევს ჩვენს გულგონებამდე, ვერ ვხვდებით (თუ არ გვინდა მივხვდეთ?), რომ ამ სამების უგულებელყოფით ჩვენვე ვშლით ქვეყნის უმტკიცეს გალავანს, წყალს შევუყენებთ ხოლმე პოლიტიკურ ქვითკირს და გულმოდგინედ ვანგრევთ ქვეყნის დუღაბს!

თუ არა ეს, მაშ, რატომ უნდა ყოფილიყო საკითხავი ქართულ სკოლაში, თუ რომელ ენაზე ესწავლა ქართველ ბავშვს- ქართულად თუ რუსულად? ამ შემოხვევას აქვს ახლა, ჩვენი საუკუნის 90-იან წლებში ჰქონდა ადგილი დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ კუთხეში დიახ, მეოცე საუკუნის 90-იან წლებში (მომხრენიც და მოწინააღმდეგენიც ქართველები იყვნენ!! სხვათა შორის, მაშინ მეც მთხოვეს, გამომეთქვა ჩემი აზრი ამ საკითხზე

ბოლო ხანებში კი- არჩევანმა, რომ იქცევიან, პირადი თვალები აგეგრილა- საქართველოში თურქული უნივერსიტეტების დაარსების საკითხიც კი წამოიჭრა! სავსებით ვეზიარები იმათ მოსაზრებას, ვინც გადაჭრით აღუდგა წინ ამ უნივერსიტეტების დაარსებას, განაცხადა რა, რომ ეს საკითხი საერთოდ, არც კი უნდა დასმულიყო! ამაზე იტყოდა სულმნათი მოძღვარი ჩვენი: "უზარმაზარი თხრილია... ქართველების წინ... ამ თხრილის პირას ვდგავართ და საკმაო, ხელი გვკრან და შიგ გადავეშვებით". ჩვენც ნუ შევეწევით ხელს იმას, რომ "ჩვენს მშვენიერ ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონონ"! სხვათა შორის, ჩვენი ყოფის შემეცნებს, ერთი ბიბლიური პერსონაჟის ნათქვამიც მაგონდება: თავისით სისხლის დასაღვრელად ჩასაფრებულან და საკუთარი თავის მოსაკლავად დადარაჯებულნი (დამეთანხმებით, ჩვენზეა ზედგამოჭრილი)!

**– დღეს არაერთი თვლის, რომ ქართული ენის სიწმინდის დაცვის თვალსაზრისით, კატასტროფული მდგომარეობაა. ეთანხმებით ამ აზრს?**

– ბოლო წლებში ქვეყანაში მომხდარი ისტორიული ძვრების შედეგად სალიტერატურო ენაზეც დაიკარგა კონტროლი და მივიღეთ დღევანდელი სამწუხარო შედეგი. მოგეხსენებათ, ენა ცოცხალი ორგანიზმია, - მის სტიქიას განუწყვეტლივ "შესვლის და გასვლის" ნაირ-ნაირი უცხოური ნაკადი (სიტყვები თუ გამოთქმები). ამ უამრავი მასალიდან იგი ბევრს მიიღებს, მაგრამ ბევრს კი როგორც უცხოსა და მიუღებელს, ზღვასავით გამორიყავს ნაპირზე. სწორედ დღესაც ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს ეს მორიგი შერჩევის, მიღება-გარიყვის, დიდი და საინტერესო პროცესი? ვინ იცის?!

**– ერთ-ერთ ლექსში აღწერთ, თუ როგორ "შემოდიოდა ნიჩილაკებით ჩვენში კალანდა". საინტერესოა, როგორ შემორჩა თქვენს მეხსიერებას გურიის სოფელში შობის შემოსვლა.**

– ჩვენი ოჯახი ქუთაისში ცხოვრობდა, იქ დავამთავრე საშუალო სკოლა. როგორღაც მოხდა ისე, რომ არცერთ შობა-ახალ წელს გურიაში არ შევხვედრივარ. ლექსი "შემოდიოდა ჩვენში კალანდა" მხოლოდ ჩემი წარმოსახვის ნაყოფია. ამასთან დაკავშირებით ერთი საინტერესო მოგონება მინდა გაგიზიაროთ.

ერთ დღეს რადიო ჩავრთე, მშვენიერ მუსიკას გადმოსცემდნენ. რატომღაც, რიწის ტბა მომაგონდა, - განთიადისას სალამურის ნაზ ჰანგებსა და თეთრ ნისლში გახვეული. როგორი გაოცებული დავრჩი, როდესაც გამოაცხადეს, რომ კომპოზიტორ ანდრია ბალანჩივაძის "რიწის ტბას" უსმენდით. ერთხელ, როდესაც მომეცა საშუალება, ეს ეპიზოდი თვით ბატონ ანდრიას მოვუყევი. მისმა პასუხმა კიდევ უფრო გამაოცა: როდესაც ეს მუსიკა იწერებოდა, რიწის ტბა თვალით არ მენახა და ნახვაც რომ მქონოდა, ალბათ ამ მუსიკას ვერ დავწერდი, აი, რამდენად მაღლა დგას წარმოსახვა თვით რეალობაზე! შემოქმედებითი პროცესი ათასჯერ საინტერესოა, ვიდრე უკვე შექმნილი, რომლისადმი ინტერესი მალე გაქარწყლდება.- ბრძანა მან და დასძინა: მოიგონეთ მითი აპოლონისა და მდინარის ღმერთის ასულის ფერია დაფნეს შესახებ როგორ ქროლით მისდევს აპოლონი თავის ტრფიალების საგანს და... როცა უკვე დაეწია და ხელებიც შემოხვია, ხე შერჩა ხელში! მიღწეული უკვე ის აღარაა. - დაასკვნა.

**– რას უსურვებდით ჩვენს სამშობლოს, ქართველ ერს შობა-ახალწლის ზღურბლთან?**

– ჩვენს ხალხს სიყვარულით მივულოცავ შობა-ახალწლის მობრძანებას... და, 1997 წლიდან ვუსურვებ ერთიან და ერთსულოვან საქართველოში და შეეძლებოდეს მოვლა-პატრონობა იმ მიწა-წყლისა, რომელიც განგებამ სამშობლოდ დაგვისახა!

*ესაუბრა*

**იოსებ ჭუმბურიძე**

საშობაო-საახალწლო ინტერვიუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ადიდებს სული ჩემი უფალსა

# თქმული ბედნიერებასა ზედა

მოგილოცავთ, ძმანო მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო, ახალსა ამას წელსა და ვითხოვ ღმერთსა, რომ თქვენ ყოველთა ბედნიერად და მშვიდობით გაატაროთ იგი.

განა რა არის ბედნიერება? ხანდახ მოუვა კაცსა და ხანდახ მიუვა კაცს იგი? ღირს, რომ ამაზედ ვსთქვათ ორიოდე სიტყვა მეტადრე დღეს, როდესაც ყოველი კაცი ბედნიერებას მოულოცავს მოყვასსა თვისსა და ბედნიერებაზედ ფიქრობს.

ჩვენ, ძმანო ჩემნო, თითქმის ყოვლის ყოველთა შეცდომილი აზრი გვაქვს ამ საგანზედ. თუ ვინმე კარგად სცხოვრობს ამ ქვეყანაზე, წარმატებაში არის და კეთილ-დღეობაში, ვიტყვით: მას ბედი აქვსო, ის ბედნიერი არისო; და თუ ვინმემ ცუდად წაიყვანა თავისი საქმე და მოაკლდა მას კეთილ-დღეობა, მაზედ ვიტყვით: რაღაცა ბედი არა აქვსო, უბედური კაცი არისო. აქამდის ხალხად სჩანს, რომ ვინც ცნობილ იქნება, იმას გონია, ვითომც ბედი და უბედურება დადის ქვეყანაზე თვალ-ახვეული და ვისაც უეცრად პირველი შეხვდება, იგი გაკეთდება, და თუ მეორე შეხვდება, წახდება არა. ძმანო ჩემნო! თუ კარგად დაუკვირდებით ქვეყნის ცხოვრებასა, შეიტყობთ, რომ ბედნიერება და უბედურება დამოკიდებულია თვით კაცზედ და მის ყოფა-ქცევაზე. ვინც ამ ქვეყანაზე არის მხნე, მუყაითი და ჯავრიანი, შრომისმოყვარე, ის უმეტეს ნაწილად არის გაკეთებული და ბედნიერი. წინააღმდეგ ამისა, კაცი მცონარე, უზრუნველი, თავის ქონების დაუზოგველად დამფანტველი, თუ გინდ დიდს ბედნიერებაშია იყოს შობილი, ბოლოს უთუოდ წახდება და გაუბედურდება. როგორადაც კერძო პირის, ეგრეთვე მთელის ქვეყნის ანუ მთელის საზოგადოების ბედნიერება სწორედ ნამდვილად და უეჭველად არის დამოკიდებული დაუცხრომელსა სწავლასა და დაუცხრომელსა მუშაობასა ზედა. ამას დაგვიმტკიცებს ჩვენ გამოცდილება; ამას დაგვიმტკიცებს ჩვენ მაგალითი იმა ქვეყნათა, რომელნიც ჩვენზედ არიან დაწინაურებულნი განათლებასა და კეთილ-დღეობასა შინა. მართალია, არა ერთგზის მომხდარა, რომ ზოგიერთი კერძო პირი გაკეთებულა და გამდიდრებულა არა თვისითა მეცადინეობითა, არამედ ერთითა უბრალო შემთხვევითა; განა მთელი ხალხი და ქვეყანა რომ განათლდეს და გაბედნიერდეს თვისივე შრომისა, მხნეობისა და მოთმინებისა, ეს არ მომხდარა.

ჩვენ აქ უნდა ვუჩვენოთ სულიერსა წარმატებასა და ბედნიერებასა ზედა. განა საკვირველი ის არის, რომ ესეც თითქმის იმაზედვე არის დამოკიდებული, რაზედაც ხორციელი ბედნიერება. რაი არის სულიერი წარმატება და ბედნიერება? ის, როდესაც კაცი სულითა თვისითა გამართლდება ღვთის წინაშე და ეღირსება უხრწნელსა ბედნიერებას საუკუნოისა ცხოვრებისასა. განა ვინ გამართლდება ღვთის წინაშე? ის, ვინც არის მხნე, ბეჯითი, შრომის მოყვარე, მომთმენელი სულიერთა მოღვაწეობათა შინა. სულიერი წარმატება და ბედნიერება სწორედ იმ კაცს უნდა მიაწეროთ, რომელმან თვისი ხასიათი გაიწვრთნა, გაიცნო, დაიმუშავა, როგორადაც ბეჯითი მიწის-მუშაკი გასწმენდს და გააკეთებს თვისსა ყანასა. წინააღმდეგ ამისა, რომელიც კაცი ესრედ არის დაუდევარი და მცონარე, რომ არ გამოიცვლის ცუდსა თვისსა ხასიათსა, არამედ თავს თვისსა დაანებებს და მიანდობს იმ უგუნურთა და მხეცურთა მიდრეკილებათა, რომელნიც ბუნებითად აქვსთ ზოგიერთთა პირთა, იგი სულიერადაც არის უბედური და წამხდარი.

ახლა, შეხედეთ, ძმანო, და იხილეთ: ხორციელსაცა და სულიერსაცა წარმატებასა და ბედნიერებასა აქვთ ერთი და იგივე საფუძველი - შეურყეველი მხნეობა და დაუღალავი შრომა სულიერი და ხორციელი. შეიძინეთ ესენი, თუ გსურთ ბედნიერება.

ღმერთო, მაცხოვარო ჩვენო, განამტკიცე ჩვენს გულში ეს მხნეობა, გააღვიძე ჩვენს შორის შრომის მოყვარება, გვყავ სულიერადაც და ხორციელადაც წარმატებულნი და გაბედნიერებულნი. ამინ.

**გაბრიელ ეპისკოპოსი**

---

**25 დეკემბერი** ([illegible] სტილით [illegible]) [illegible] და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

**6 იანვარი** (ახალი სტილით 19 იანვარი) - განცხადება უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი - ნათლისღება.

**8 იანვარი** (ახალი სტილით 21 იანვარი) - ხსენება წმინდა მოწამე აბო თბილელისა - ([illegible]) თბილისში წამებულისა.

**14 იანვარი** (ახალი სტილით 27 იანვარი) - ხსენება წმიდისა დედისა ჩვენისა, ქალწულისა ნინოსი, მოციქულთასწორისა, ქართველთა განმანათლებელისა.

## შობა

**ხორციელად შობა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი** უდიდესი საეკლესიო დღესასწაულია და ეზეიმება მას 25 დეკემბერს (ახალი სტილით 7 იანვარს).

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი თოთხმეტი წლის გახდა თუ არა, მღვდელმთავრებმა მისი გათხოვება დაამტკიცეს. მაგრამ მარიამს ქალწულობის აღთქმა ჰქონდა დადებული და იგი დაწინდეს მოხუცებულ იოსებზე, რომელიც მისი შორეული ნათესავი იყო. იოსები ხურო იყო და ნაზარეთში ცხოვრობდა. მარიამი თავისი ხელსაქმით ეხმარებოდა მას.

მარიამის შერთვამდე მართალმა იოსებმა ჩვენება იხილა. უფლის ანგელოზმა გამოუცხადა მას: „იოსებ, ძეო დავითისო, ნუ გეშინინ მიყვანებად მარიამისა, ცოლისა შენისა, რამეთუ რომელი-იგი მისგან იშვეს, სულისაგან წმიდისა არს. შვეს ძე და უწოდიან სახელი მისი იესუ, რამეთუ მან იხსნეს ერი თვისი ცოდვათა მათგან" (მათე 1.20-21).

იესო ქრისტეს დაბადების დროს რომის იმპერატორმა ავგუსტუსმა ბრძანა მისადმი დაქვემდებარებულ ქვეყნებში ხალხის აღწერა ჩაეტარებინათ. მაშინ პალესტინა რომის იმპერიის ერთ-ერთი პროვინცია იყო. ყველა უნდა წასულიყო და ჩაეწერა იქ, სადაც ცხოვრობდნენ მისი წინაპრები. იოსები და ყოვლადწმინდა მარიამი წარმოშობით დავითის ჩამომავლები იყვნენ, ამიტომ ისინი ნაზარეთიდან ბეთლემში წავიდნენ. ბეთლემში მოსახლეობის აღწერის გამო დიდი ხალხმრავლობა დახვდათ; ყველა ბინა დაკავებული აღმოჩნდა. ამიტომ იოსებმა და მარიამმა ღამე ერთ გამოქვაბულში გაათიეს, რომელშიც მწყემსები ცუდ ამინდში საქონელს შერეკავდნენ და დაბინავებდნენ ხოლმე. ამ ღამით გამოქვაბულში დაიბადა მაცხოვარი. ყოვლადწმინდა მარიამმა „შეხვია იგი სახვევლ-

→ 5

---

*არქივში აღმოჩნდა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ლეონიდის „მოწოდება თბილისის მორწმუნე მოქალაქეთადმი". მოწოდება დაწერილია კათალიკოს-პატრიარქობამდე, როცა იგი თბილელი მიტროპოლიტი იყო, 1917-1918 წლებში. მასში მიტროპოლიტი ლეონიდი თბილისელებს მოუწოდებს, სათანადო პატივი მიაგონ წმინდა მოწამე აბო თბილელს. ვფიქრობთ, ამ „მოწოდებას" დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.*

*მასალა მოგვაწოდა საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო ხუროთმოძღვრების ცენტრის თანამშრომელმა ია გორგიშელმა, რომელიც წმინდა აბო თბილელის ეკლესიის მშენებლობის საარქივო მასალაზე მუშაობს.*

# მოწოდება

## თბილისის მორწმუნე მოქალაქეთადმი

მადლი იყავნ და მშვიდობა ღვთისა მამისა ჩვენისა და უფლისა იესო ქრისტესი, ღვთივ საყვარელნო ჩემნო სულიერნო ძენო და ასულნო თბილისის მოქალაქენო!

პირველი მორწმუნე, რომელიც ჩვენს დედაქალაქ თბილისში სიცოცხლით მსხვერპლად შეეწირა ქრისტეს და მის სახარებას, იყო „დიდი მოწამეთა" აბო.

აბო საკუთარი წმინდანი, საკუთარი მცველი და მფარველი თბილისისა. წმ. აბოს ხსენება გამოცხადებულ უნდა იყოს თბილისელთა შორის. თბილისის მორწმუნე მოქალაქე, ქალია იგი თუ ვაჟი, ვაჭარი თუ ხელოსანი, მეცნიერი, სწავლული, უბრალო, მდიდარი თუ ღარიბი, უნდა განსაკუთრებით პატივს სცემდეს წმ. აბოს სახელსა და გარეშემოსად აჭარბებდეს მის ხსოვნას. თბილისელ ქრისტიანებს თავი უნდა მოსწონდეს, რომ განგებისაგან დასაჩუქრებულნი არიან საკუთარი ციური მფარველით და ამ უპირატესობას, ამ მადლს თავიანთ წარჩინებას თვალსაჩინოდ უნდა გამოთქვამდნენ და გამოხატავდნენ კიდეც.

სამწუხაროდ, ვერავითარ ამის მსგავსს თბილისელ მორწმუნეთა ცხოვრებაში ვერ ვამჩნევთ: თბილისის დღესასწაულობებშიც არ მოიპოვება გული საკუთარი მფარველის სახელობაზე.

კმარა დაუდევრობა, დროა გამოვიღვიძოთ მძიმე დახაშული და შეურაცხყოფილი ძალღონით ახლა მაინც აღვმართოთ ეკლესია იმ ადგილზე, სადაც წმ. აბოს სისხლი მორწყად ეცხო თბილისის ნიადაგს.

დარწმუნებული, რომ ყოველი მორწმუნე თბილისელი განსაკუთრებულ სიხარულით გაიღებს ხვედრ წვლილს ასეთი წმიდა საქმისათვის, ამასთანავე მოუძღვნი ყველას მღვდელ-მთავრულ ლოცვა-კურთხევას და ვაუწყებ შემომწირველთა, რომ წმ. აბოს სახელზე ეკლესიის აშენებისათვის შემოწირულობათა მიღება დავალებული აქვთ ჩვენგან დავითის მონასტრის ჩაზინადარს მღვდელ-მონაზონს სერაფიმეს და თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეებს გრიგოლ [illegible], გაბრიელ ჩაჩავას და ალექსანდრე დათუაშვილს.

**თბილელი მიტროპოლიტი**
**ლეონიდი**

4 ◄ ...თა და მიაწვინა იგი ბაგასა" (ლუკა 2.7). მწყემსებს ღამით მინდორში გამოეცხადათ ანგელოზი, რომელმაც უთხრა: „ნუ გეშინინ, რამეთუ აჰა, გახარებ თქუენ სიხარულსა დიდსა, რომელი იყოს ყოვლისა ერისა: რამეთუ იშვა დღეს თქუენდა მაცხოვარი, რომელი არს ქრისტე უფალი, ქალაქსა დავითისსა. და ესე იყოს თქუენდა სასწაულად: ჰპოოთ ყრმაი იგი შეხვეული და მწოლარე ბაგასა" (ლუკა 2.10-12).

მაშინვე ციდან გაისმა ანგელოზთა გალობა: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, და ქუეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება" (ლუკა 2.14).

მწყემსები და აღმოსავლეთიდან წამოსული მოგვები, რომლებიც ბეთლემისაკენ მოუძღოდათ ვარსკვლავი, შეუდგნენ გამოქვაბულში და „იხილეს ყრმაი იგი მარიამის თანა, დედისა თჳსისა და დავარდეს და თაყუანის-სცეს მას: და აღაღეს საუნჯეთა მათთა და შეწირეს მისა ძღუენი: ოქროი, გუნდრუკი და მური" (მათე 2.11). მწყემსებმა უამბეს იოსებს და მარიამს რაც ნახეს და მოისმინეს ანგელოზებისაგან.

ისევე როგორც ჯვარცმა უფლისა გამძლევს მოთმინებისა და მოყვასის მაგალითს, ასევე შობა უფლისა უდიდესი თავმდაბლობის მაჩვენებელია. მაცხოვარი, მხსნელი სოფლისა, იშვა გამოქვაბულში და ქვეყნიერებას ბაგაზე მწოლი მოევლინა.

# ნათლისღება

**განცხადება უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი - ნათლისღება** არის უდიდესი, ათორმეტთაგან ერთ-ერთი უძრავი დღესასწაული და ვზეიმობთ მას 6 იანვარს (ახალი სტილით 19 იანვარს).

იოანე ნათლისმცემელი ჰურიასტანის უდაბნოში ქადაგებდა: „შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათაი" (მათე 3.2). იგი დადიოდა იორდანეს გარშემო სოფლებში. ხალხს სინანულისაკენ მოუწოდებდა და ცოდვების მისატევებლად ნათლისცემას ქადაგებდა. იერუსალიმიდან და მთელი ჰურიასტანიდან მიდიოდა მოსახლეობა, აღიარებდა ცოდვებს და მდინარე იორდანეში მისგან იღებდა ნათელს. იერუსალიმიდან იოანესთან მიდიოდნენ ფარისევლები, რომლებსაც სურდათ გაეგოთ, ვინ იყო იოანე? ხომ არ იყო იგი ქრისტე, ელია ან რომელიმე წინასწარმეტყველი. ნათლისმცემელმა უპასუხა, რომ მან უნდა მოუმზადებინა გზა უფლის მოსასვლელად: „ხმაი ღაღადებისაი უდაბნოსა: განჰმზადენით გზანი უფლისანი, ვითარცა თქუა ესაია წინასწარმეტყველმან" (იოანე 1.23). ფარისევლები დაინტერესდნენ, თუკი არა ხარ ქრისტე, არც ელია, არც წინასწარმეტყველი, „რაისათჳს ნათელ-სცემ?" მიუგო ყველას იოანემ: „მე ნათელ-გცემ თქუენ წყლითა, ხოლო მოვალს უძლიერესი ჩემსა, რომლისა არა ვარ ღირს ხსნად თასმისა ჴამლთა მისთა: მან ნათელ-გცეს თქუენ სულითა წმიდითა და ცეცხლითა" (ლუკა 3.16).

ნათლისმცემელი ერს ლოცავდა და მრავალ სხვა სიკეთესაც ასწავლიდა.

იორდანესთან გალილეიდან ნათლისღებად იესოც მივიდა. იოანემ მასში ძე ღვთისა შეიცნო და უთხრა: „მე მიჴმს შენ მიერ ნათლის-ღებაი, და შენ ჩემდა მოხუალა?" (მათე 3.14). მაგრამ მაცხოვარმა მშვიდად მიუგო, ვემშვენის აღვასრულოთ ყოველი სიმართლე და ნათელ-იღო.

ამოვიდა თუ არა წყლიდან იესო, გაიხსნა ცა და სულიწმიდა გადმოვიდა მტრედის სახით და დაადგა. ზემოდან ციდან კი გაისმა ხმა: „ესე არს ძე ჩემი საყუარელი, რომელი მე სათნო-ვიყავ" (მათე 3.4).

იოანე ნათლისმცემელმა აღიარა: წყლით ნათლისღებად ჩემმა მომავლინებელმა მითხრა, რაზედაც იხილავ გარდამომავალ სულს, ის გვცემს ნათელს სულიწმიდით: „და მე ვიხილე და ვწამე, რამეთუ ესე არს ძე ღმრთისაი" (იოანე 1.34).

მაცხოვრის ნათლისღების დროს განცხადდა უფალი. ამ დროს ქვეყნიერებას მოევლინა ყოვლადწმიდა სამება: მამა ღმერთის ხმა გაისმა ციდან, ნათელ-იღო ძე ღმერთმან და მტრედის სახით გადმოვიდა სულიწმიდა ნათლისღების შემდეგომ. რაკი განცხადდა უფალი, მან იწყო ქადაგება და ღვთიური მოღვაწეობა.

ნათლისღება უფლისა უდიდესი საეკლესიო დღესასწაულია. მხოლოდ მაცხოვრის შობა და ნათლისღება ახსნილებს ოთხშაბათისა და პარასკევის მარხვებს. თუკი რომელიმე ეს დღესასწაული დაემთხვევა ოთხშაბათს ან პარასკევს, იჭმება ხსნილი. თორმეტ დღესასწაულთაგან დანარჩენი ახსნილებს მხოლოდ თევზით.

# ნინოობა

**ქართველთა განმანათლებლის, მოციქულთასწორი ნინოს** ხსენებას ქართული ეკლესია 14 იანვარს (ახალი სტილით 27 იანვარს) ზეიმობს.

ქართლში წმიდა ნინო მოეზიარების შემოსვლა თავდაპირველად ურბნისში დაბინავდა და იხილა „ერი უცხოი უცხოთა ღმერთთა მსახური". მცხეთაში იგი წარმართულ დიდ დღესასწაულზე მიმავალ ხალხს გაჰყვა. მონაზონებული ერი მსხვერპლს სწირავდა თავიანთ კერპებს - არმაზს, ზადენს, გაცისა და გაიმს. ზეიმში მონაწილეობდნენ მეფე-დედოფალიც. წმიდა ნინოს ლოცვით უფალმა წარმართული კერპები დაამსხვრია. ეს მოხდა 6 იანვარს (ახ. სტილით 19 იანვარს), უფლის ნათლისღების დღეს.

ნინო მცხეთაში დაბინავდა: ექვსი წელი მაყვლოვანში ლოცულობდა. ლოცვითა და მარხვით იგი სასწაულებს ახდენდა. წმ. ნინო ქრისტეს მოძღვრებას ქადაგებდა და ერიც წრფელი გულით უსმენდა. უშვილოს შვილი მიეცემოდა, სნეული იკურნებოდა. ღვთის ნებით მან მძიმე სენისაგან განკურნა დედოფალი ნანაც, დედოფალი დაემოწაფა წმიდა ნინოს და იწამა ქრისტე. ცოტა ხანში ნადირობის დროს დაბრმავებული განსაცდელის გამო მირიან მეფეც მოექცა. მეფე-დედოფლის გაქრისტიანების შემდეგ ერმაც იწამა ახალი მოძღვრება.

მეფე მირიანმა ნინოს რჩევით ააგო სვეტიცხოვლის ხის ეკლესია, ჯვრები აღმართა მცხეთაში თხოთის მთასა და უჯარმაში.

მოციქულთასწორმა ნინომ თავისი თმით შეკრული ვაზის ჯვრით ქრისტეს რჯულზე მოაქცია მთიელებიც. შემდეგ კახეთში გადავიდა და თავისი მოღვაწეობა იქ განაგრძო. სიცოცხლის ბოლო წლები წმიდა ნინომ სოფელ **ბოდბეში** გაატარა და იქ აღესრულა კიდეც.

„ნინოს ჯვარი ჯერ შუშანიკ დედოფლის სასახლეში ინახებოდა. შემდეგ - ერთ-ერთი უძველესი მონასტრის მოძღვრის - ანდრიას კათედრის ცხემ-სომხეთში, მოგვიანებით კი მრავალი საუკუნის განმავლობაში - ქართველ ხელმწიფეთა სასახლეებში, როცა მტრების თარეში იწყებოდა, მეფეები მცხეთის საკათედრო ტაძარში ინახავდნენ მას.

XVIII საუკუნის დამდეგს, როცა გაჩნდა საფრთხე ამ უძვირფასესი რელიქვიის სპარსთა ხელში ჩავარდნისა, მეფე თეიმურაზ მეორის ბრძანებით იგი არაგვის ერისთავთა სამფლობელოში წაიბრძანეს და ანანურის ეკლესიაში დაასვენეს.

1749 წელს საქართველოს მიტროპოლიტმა ტიმოთემ ნინოს ჯვარი რუსეთში გადაასვენა და მოსკოვში მცხოვრებ უფლისწულს - ბაქარ ვახტანგის ძეს მისცა. ბაქარის შვილიშვილმა [illegible] მიართვა. იმპერატორმა მადლობა გადაუხადა მას ესოდენ ძვირფასი საჩუქრისათვის და 1801 წლის 15 ოქტომბერს სპეციალური რესკრიპტით საქართველოს დაუბრუნა იგი.

როგორც წმიდა სალოცავი ნინოს ჯვარი სიონში წაასვენეს და საზეიმო ვითარებაში დაასვენეს ვერცხლის საბუდეში. მას შემდეგ ეს ჯვარი სიონის საკათედრო ტაძარში ინახება.

წმ. ნინოს ხსენების დღეს მას გამოასვენებენ [illegible] საქართველოს უძველესსა და უწმიდეს სალოცავს, რომელსაც შეიძლება ვემთხვიოთ და თაყვანი ვცეთ" (**ნონა [illegible], „ქრისტიანული მწერლობის სათავეებთან"**).

ქართველთა განმანათლებლის წმიდა ნინოს ხსენებას ორჯერ ვზეიმობთ: 14 იანვარს (ახალი სტილით 27 იანვარს) და 19 მაისს (ახალი სტილით 1 ივნისს).

საქართველოში წმიდა ნინოს შემოსვლა შედარებით ახალი დღესასწაულია. ჩვენი ეკლესია დღესასწაულობს მას 1984 წლის 19 მაისიდან (ახალი სტილით 1 ივნისიდან).

ქართველი ერის წინაშე უდიდესი დამსახურება აქვთ წმიდა ნინოს მშობლებს. საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის 1996 წლის 23 დეკემბრის განჩინებით წმ. ნინოს მშობლები შერაცხნენ წმინდანთა დასში და ეწოდათ **ღირსი მამა ზაბულონი** და **ღირსი დედა სოსანა**. მათი ხსენება დაწესდა 20 მაისს (ახალი სტილით 2 ივნისს).

რუბრიკას უძღვება
ნინო კვანტალიანი



## მეცნიერის არქივიდან

**ცნობილ ენათმეცნიერს, ქართული ენის გამოჩენილ მკვლევარს, სამაგალითო პედაგოგს, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის ყოფილ გამგეს, ქალბატონ ქეთევან ძოწენიძეს 80 წელი შეუსრულდა.**

**მკითხველს ვთავაზობთ ქ-ნი ქეთევანის არქივში დაცულ მწერალ ლევან გოთუას წერილს. სამწუხაროდ, მეცნიერის საპასუხო წერილი არასრული სახითაა შემორჩენილი...**

**ამ წერილებში, ვფიქრობთ, კიდევ ერთხელ საინტერესოდ წარმოჩნდებიან ქართული კულტურის ამაგდარი მოღვაწეები - ქალბატონი ქეთევანი და ბატონი ლევანი.**

### ქ-ნო ქეთევან

დიდ მადლობას მოგიძღვნით ასეთ შინაარსიან წერილისათვის. ბოდიშს ვიხდი რომ ხელახლად გაგსაჯეთ (თუ დაგსაჯეთ?) და ჩემი წიგნი მეორედ წასაკითხავად გაგიხადეთ.

თქვენ პირველმა ფილოლოგიური კვლევა გაგიწევიათ ჩემ „გმირთა ვარამზე" და მის, როგორც თქვენ ლმობიერად აღნიშნავთ, „სალიტერატურო ენის ნორმებისაგან გადახვევებზე".

თქვენი შენიშვნები ბევრ შემთხვევაში მართებულად მიმაჩნია შემდეგ წიგნებში და გამოცემებში უსათუოდ გამოვიყენებ.

ნეტავ ყველა თქვენისთანა მკითხველი მყავდეს. მაშინ მეც, ალბათ უკეთესად დავწერდი თუმცა ნორმების დაურღვევლობას ვერც მაშინ შევპირდებოდი.

მე მირჩევნია ენის სტიქიაში ყოფნა. მისი განვითარების ტენდენციების ძიება და შემოქმედებითი დაუდევრობა, ვიდრე მისი გრამატიკული ფორმებისა და ნორმების სრული სიზუსტე და ცივი გაყინული უძრაობა.

ქართველი მწერალი, რომლისთვისაც ენის პრობლემა არ არსებობს, ჩემის აზრით, არც ქართველია, არც მწერალი და უკეთეს შემთხვევაში, ჰგავს იმ თერძს, რომელიც ძველ სამოსიდან, უკვე მოძველებულ საჭრელიდან ახალ ჩოხას შეკერავს ლამაზს. მაგრამ ახლის ძიებაში დიდი ტაქტისა და ზომის გრძნობა არის საჭირო, რომ უგემოვნობასა და ხელოვნურობაში არ ჩავარდეს სასიკვდილოდ მოქნეული კალამი. სადღაც აქ ვცოდავ მეც ვცოდავ მაგრამ ყვავილს ღირს და ენის სიბრძნე გაცხოველდეს. პოდა ათში ერთი სიტყვა, ფორმა თუ ახალი კომპოზიტი რომ დარჩეს ჩემ მონაგარიდან მე ჩემი ცდა გამართლებულად ჩამეთვლება.

ამას იმიტომ კი არ გწერთ, რომ თქვენ მედავებით არამედ იმიტომ, რომ სხვები უმართებულოდ მიღალატებენ.

მე ვცდილობ ყოველი ჩემი საახლე ქართულ ენის ბუნებიდან გამოვიყვანო. თითქმის ყველას პარალელური, მსგავსი ფორმები მოეძებნება საფუძვლად. მაგრამ ეს ყოველივე სტიქიური, ინტუიციური შემოქმედების ნაყოფია და არა ზუსტი მეცნიერული კვლევის შედეგი ამიტომ ალბათ საჭირო სიზუსტე და სისტემატურობა ამიტომაც აკლია. მაგრამ ეს თქვენი ენათმეცნიერების საჭიროა. მე კი ჩემი ისედაც მძიმე და არცულ-ჩარეული ხელობები მეყოფა საზიდრად.

მაინც შევეხები ზოგიერთ ფორმას.

- ვცდილობ ვიხმარო ლაპიდარული - ყველაზე ფორმა. (ამ დაბოლოების მოკვეცა) ვფიქრობ აქეთ აქვს მიდრეკილება ქართულ ენას. ეს ილიასაც აქვს.

- ვხმარობ - ნაბდოსანს, რადგან იხმარება - ჩოხოსანი.

ვხმარობ - უღლემოსანს, რადგან იხმარება წვეროსანი.

- ვხმარობ - ქარიშხლიანს, ელვიანს, ერიანს - რადგან იხმარება - საყდრიანი, დროშიანი, მეფიანი.

- თქვენ მართალი ბრძანდებით - კომპოზიტები მე ქართული ენის განვითარების უმოკლეს წყაროდ მიმაჩნია. ამას მივაგენ. მაგრამ დამწერლობის მხრივ სისტემაში ჯერ ვერ მოვიყვანე ხან დეფისით ვწერ - წარმომავლობის ნათლსაყოფად. ხან კი დეფისი უკვე მეკარგება

ნიშანდობლივია რომ ძველი კომპოზიტები ... ასეთივე დეფის-უდეფისობის გზა აქვთ გავლილი.

თქვენ თქმისა არ იყოს - ზოგს ჩემს კომპოზიტს „ხელოვნურობის" იერი მაინც დაჰკრავს (ერთიც ვიცანით და ან მე გავცხრილავ ან თქვენ (კეთილი მკითხველი) მიუჩვევით.

ვგრძნობ კი რომ ცოტა ჭარბად მომდის. ამის გამო აქ ზოგმა „კომპოზიტორიც" კი მიწოდა.

ხოლო ჩემი ბევრი კომპოზიტი რომ ბუნებრივია. ეს იქიდანაც ჩანს, რომ თქვენ მათ ჩემსავე სიტყვით, ნაწილობრივ კი ძველქართული მაგალითად - ნარდობაზიობა, ქვაკვერი, ველკეთილი (ძველი ხევსურეთში) თუ კახიშვილი - ბუღნკეთილი, ცხენკეთილი - კაცხოზიერი - ბერკეთილიც და პურნიანიც.

თუ კახიშვილი - ახალციხე (ვეფხია), ან ახალბედა - კაცხოზიერი - ახალბერიც, ახალმოწველიც - ძველისაწილიც და ა.შ.

აგრეთვე სიტყვით მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს „დიდებულ წარმომავლობის" ლექსიკური მასალის განხორციელება გამოყენებაც.

ისევე როგორც - არქაული, ჩემი ტერმინოლოგიით ძველქართული



ლევან გოთუა ქუთაისელებთან (მარჯვნივ ქეთევან ძოწენიძე)

სიტყვების გაცოცხლებაც.

ზოგი თქვენ მიერ შემჩნეული უსწორობა - აშკარა შეცდომაა ჩემიცა და კორექტორისაც.

თქვენი კეთილი სურვილი და საქმიანი მითითებანი უთუოდ უანგარო ხელის მომართვაა - ნუგეშიც და გამხნევებაც.

მე ახლა უფრო მეტად შევეპოვნებელი სიტყვებს.

თქვენ კი გთხოვთ - ნუ მომაკლებთ ასეთსა და თუ საჭიროა იქნება უფრო მკაცრ შენიშვნებსაც.

თქვენი პატივისმცემელი **ლ. გოთუა**
15.III. 59. დედაქალაქი

---

### პატივცემულო მწერალო!

დიდ ბოდიშს გიხდით, რომ თქვენი წერილის პასუხი ძალიან დავაგვიანე ამას ჰქონდა თავისი მიზეზები. მაგრამ ახლა ამაზე წერა საჭირო არ არის.

თქვენ მიხვედით, მიმდინარეობისა „გმირთა ვარამის" ენაში სალიტერატურო ენის ნორმებისაგან გადახვევებზე. რომელთა შესახებ გწერდით ამ მიზნით კიდევ გადავავლე თვალი თქვენს რომანს.

ხშირია, წაიკითხავ რომელიმე ნაწარმოებს, მოეწონება ხელმეორედ გადაიკითხავ და გაეცნობი. მის მხატვრულ უნიათობას რომ დაინახავ „გმირთა ვარამის" ფურცლები კი გადაკითხვით კიდევ უფრო აელვარდნენ. მე მწამს, მათ ვერც ვერასოდეს გააფერმკრთალებს დროთა ავდარი...

თქვენ ქებაზე უფრო შენიშვნები გაინტერესებთ?

7

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წელი და წელიწადი

**წელი და წელიწადი სინონიმური სიტყვებია. რა არის მსგავსება-განსხვავება და რა მიმართებაა მათ შორის? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად მკითხველებს ვთავაზობთ აკაკი შანიძის ცნობილ ნაშრომს „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის" (შემოკლებულ ვარიანტს).**

ძველქართულ სალიტერატურო ქართულსა და ცოცხალ კილოებში **წელ-ი** და **წელიწად-ი** თითქმის თანაბრად იხმარება ერთი და იმავე მნიშვნელობით, სახელდობრ, როგორც გამომხატველი 365 (resp. 366) დღიანი კალენდარისა ან კალენდარისა ერთი წელი, ანუ ერთი წელიწადი. ამიტომ შეიძლება ადვილადაც ითქვას: ხუთი წელი ან ხუთი წელიწადი, ცხრა წელი ან ცხრა წელიწადი-ო და მისთანანი. ეს კი მხოლოდ, რომ ასეთ შემთხვევებში ზოგიერთი კილო უპირატესად წელ-ს ხმარობს, ზოგიც წელიწად-ს თვლის. მაშასადამე, წელ-სა და წელიწად-ს შორის მნიშვნელობის მხრივ დღეს განსხვავება აღარ არის. მაგრამ ის კი აღსანიშნავია, რომ არსებითი სახელისაგან ზედსართავების წარმოების დროს წამსვე იჩენს თავს განსხვავება: ზედსართავები ჩვეულებრივ წელ-ისაგან არის ნაწარმოები: წლეული (აქედან ზმნიზედა წლეულს), წლიური, წლოვანი, წლოვან-ი, წლიან-ი. ზმნიზედაც წელ-ისაგან არის ნაწარმოები, სიტყვის მიცემით ბრუნვაში დასმულია: წელს. ამას გარდა, ვისიმე ან რისამე ხნოვანების აღსანიშნავად წელი იხმარება და არა წელიწადი. მაგალითად: ერთი დღისა, ორი კვირისა, სამი თვისა, ოთხი წლისა-ო. ერთი სიტყვით, წელიწად-ის ხმარება შეზღუდულია; იგი გამოყენებულია წელ-ის მაგივრად ახლა მის პარალელურად განსაზღვრულ შემთხვევებში, ისე კი საზოგადოდ ქართულისათვის ჩვეულებრივია წელ-ი.

წელიწად-ი რთული სიტყვაა. მისი შემადგენელი ნაწილებია წელი+წად-ი. პირველი ნაწილი (წელი) ერთი შეხედვით კაცს შეიძლება სახელობითის ფორმა ეგონოს, მაგრამ არა! იგი ამ ფორმისაგანაა მიღებული: „წელითი. მეორე ნაწილიც (-წადი) შემოკლებული ფორმაა- მისი ძველესი სახე უნდა ყოფილიყო წლადი. მაშასადამე, **წელიწად-ი** მიღებული ყოფილა ამ ფორმისაგან: **წელითიწლად-ი**, რომელსაც პირველ ნაწილში -ით დაუკარგავს და ერთი მარცვლით შემოკლებულა, ხოლო მეორეში ლასი გამოკლებია. თუ ეხლა მოვაცილებთ ბოლოკიდურ იას, რომელიც სახელობითი ბრუნვის ნიშანია, მივიღებთ წელითიწლად ფორმას, რომელიც წარმოგვიდგენს უკვე როგორც ორი სხვადასხვა ფორმა, ერთისა და იმავე წელ სიტყვისა: პირველი ნაწილი (წელითი) იშვიათი ფორმაა, რომელიც მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში გვხვდება, ხოლო წლადი არის ვითარებითი ბრუნვის ფორმა. მაშასადამე, წელიწადი წარმოშობით რთული სიტყვა ყოფილა, ნაწარმოები ფუძის ერთგვარი გაორკეცების საშუალებით.

წელითი წლად მარტო თეორიულად აღდგენილი ფორმა როდია: იგი გვხვდება, მაგალითად, დავითის ფსალმუნის ძველ ხელნაწერში, სადაც ვკითხულობთ: „ხოლო დადგომასა თანაწორებასა წელითი წლად დაწერის ერთი ნაადრევად რიცხუსა მას ერთ რიცხუად ყოველნი წელნი".

წელითი წლად-ში ყურადღებას იპყრობს და ახსნას მოითხოვს პირველი ნაწილი (წელითი), რომლის ფორმა იშვიათია თვით ძველი ქართულისათვისაც კი. ძველ ქართულში მსგავსივე დაბოლოება (-ითი) მოეპოვება სხვა სიტყვებსაც, რომლებიც აგრეთვე გაორკეცებულად იხმარება, მაგ. ჟამითი ჟამად, დღითი დღედ, ქალაქითი ქალაქად, უკუნითი უკუნისამდე, ხაოსაქითი ხაოსაქამდე და მისთანანი. სწორედ ამათ ჯგუფს ეკუთვნის ჩვენი წელითი წლად-იც. ამ შემთხვევაში -ითი არ არის ჩვეულებრივი ბრუნვის მაწარმოებელი სუფიქსი, იგი საზოგადოდ და საყოველთაოდ რომელიმე ბრუნვას არ ახასიათებს. მაგრამ, თუ ბოლოკიდურ იას ახლა შევცვლით, მაშინ მივიღებთ -ით სუფიქსს, რომელიც ჩვეულებრივ და საზოგადოდ მოქმედებითი ბრუნვის მაწარმოებელია. ამ -ით სუფიქსს ეკუთვნის ბოლოკიდური ა და ძველ ქართულში ხშირად, ხოლო ახალ ქართულში უმთავრესად და უპირატესად -ით -ის სახით არის ხოლმე წარმოდგენილი. მაშასადამე, მოგვეპოვება ორი სუფიქსი (-ითა და -ითი), რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც ფორმით, ისე მნიშვნელობით: ერთი (-ითა) ინსტრუმენტალისაა და მეორეც (-ითი) ადვერბისის მაწარმოებელი. მაგრამ, რაკი ორივე სუფიქსს თავიანთი განვითარების პროცესში ერთურთის განმასხვავებელი ბოლოკიდური ხმოვნები დაუკარგავს, ამიტომ ორივეს მიუცია -ით და წარმოშობით ორი სხვადასხვა სუფიქსი ფორმალურად ერთიმეორეს დამსგავსებია და ერთ ბრუნვაში გაერთიანებულა, რომელსაც მნიშვნელობა ორივესი შერჩენია: ინსტრუმენტალისა და ადვერბისისა ძველ ქართულში. ახალ ქართულში კი -ით დაბოლოება ინსტრუმენტალის მოეპოვება, ადვერბისისთვის კი მარტო -ით დაბოლოება აღარ იქნა მიჩნეული საკმაოდ და მას დაერთო -გან თანდებული, რომლის დასაწყისმა თანხმოვანმა წინამავალი თანი გაიმეორა, დიდად აქვს და შემდეგ თანდათანობით თვითონაც დაიკარგა ზოგ ზოგ კილოში: - ითგან ▶ იდგან ▶ იდან.

მაშასადამე, ირკვევა, რომ **წელიწადი** მიღებულია **წელითი წლად**-ისაგან, რომლის პირველ ნაწილში გვაქვს ერთი გადაკეთებული და გადაშენებული ბრუნვის ფორმა, ადვერბის მნიშვნელობით, წელ სიტყვისაგან.

6 ◀

თქვენ გაქვთ ქართული ენის ბუნების შეგრძნების ისეთი განსაცვიფრებელი ალღო, რომ საწყენია ის შენიშვნები, რომლებიც ოფიციალურმა კრიტიკამ თქვენი წიგნის ენის შესახებ აღნიშნა. რა უბადრუკიც უნდა იყოს ეს შენიშვნები თქვენი წიგნის უზარმაზარ ღირსებასთან შედარებით, შემდგომი მუშაობისას ზოგიერთი მათგანი მაინც ასე თუ ისე გასათვალისწინებელია.

თქვენ რომ გაბედულად გაცვეთილი სიტყვებისა და შაბლონად ქცეული ფორმების ხმარებას, ზოგჯერ ისეთ წარმოებას მიმართავთ, რაც თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ნორმებისაგან გადახვევად ჩანს.

ჩემი აზრით, როგორც ამის შესახებ გწერდით, ეს გადახვევები ძირითადად თავს იჩენს მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნვის, სიტყვათა წარმოების, კომპოზიტებისა და ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის გამოყენებისას.

1. საზღვრულის წინამავალი თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი ნათესაობითისა და მოქმედებითში სრულად მოკვეცილი დაბოლოებით იხმარება: მთავარ ტაძრის (8), დიდ ომის (33), თეთრ დოლბანდის (37), მის მეფის (218), ორ ძმის (346), მთავარ სამეფოსკენ (143).

შერბილებულ სიმკაცრით (21), აფორიაქებულ გრძნობით (104), აკრიალებულ აზრით (188), შეკოწიწებულ ბაგებით (215), ძველ კვალიდან (71).

ამგვარ წარმოებას ჩვენ ილიას ენაში არცთუ იშვიათად ვხვდებით სრული დაბოლოებიანი მსაზღვრელის გვერდით.

ლიტერატურული ქართულისათვის ასეთ შემთხვევაში მოქმედი ნორმაა მსაზღვრელი ნაწილობრივ მოკვეცილი დაბოლოებით (თეთრი დოლბანდის, ჩემი მეფის, აკრიალებული აზრით...).

მსაზღვრელის დაბოლოება მოკვეცილი აქვს სხვა ბრუნვებშიც: ერთი რუს გუშაგი (288), ჟუჟუნ ქარი (677), ქრისტიან სარდალს (218).

2. ყოველი საწარმოქმნო აფიქსი თავისი ზუსტი მნიშვნელობით არის გამოყენებული, მაგრამ გვხვდება ისეთი ქართულ ძირებთანაც, რომლებთანაც სალიტერატურო ენაში არ იხმარება: თოვლის ფიფქული (119), საბუთიერი საბუთი (121), ნამეორევი ამათ ძახილი (250), ნაბლისანი (246), თეთრკაბისანი (137), ძველ გვარისანი (414), უღვაშისანი (517).

პარალელურად ნახმარია ა სუფიქსიანი ფორმებიც, რომლებიც უფრო ბუნებრივია (უღვაშა, შავქოჩა ხამოსიანი ასული (647)).

აბიტურიენტის ფურცელი

**ხვთისო ზარიძე**

# „წამებაი წმიდისა მოწამისა ჰაბოისი"



### 1. იოვანე საბანის ძე

VIII საუკუნის გასულს, კერძოდ 786 წლის 6 იანვარს, ნათლისღების დღეს, თბილისში, ორმოცი სებასტიელი მოწამის სახელობის ეკლესიის ეზოში, არაბებმა თავი მოჰკვეთეს ერთ გაქრისტიანებულ თანატომელს, სახელად აბოს, რომელიც შემდეგ ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა და აბო თბილელი უწოდა.

აბოს გაქრისტიანებაში, ბუნებრივია, ქართველთა ხელიც ერია და ეს ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის შედეგი იყო, აბოს დასჯა კი — ამ ბრძოლის საპასუხო აქტი. არაბებთან ასეთი დაპირისპირება მაშინვე დაიწყო, როგორც კი ისინი ჩვენს ქვეყანაში შემოიჭრნენ და შემდეგ არასოდეს ჩამცხრალა. მტერი გაუგონარი სისასტიკით ცდილობდა ჩვენში ყოველივე ეროვნულის ჩახშობასა და ამოძირკვას. აბოს დასჯაც, თანაც ასეთ დღეს, მათი დიდმპყრობლური ცინიზმის კიდევ ერთი გამოვლინება იყო, რასაც ქართველობა, ბუნებრივია, ვერ გაუჩუმდებოდა, ვერ წაუყრუებდა. ასეც მომხდარა: აბოს წამებას ერთიანად შეუძრავს ქართული ეკლესია, ჩვენი ერი, ოღონდ, ხმლისაკენ მაინც არავის მოუწოდებია: ამ გზით პატარა საქართველო ვერარაფერს გახდებოდა არაბობასთან, რომელიც უკვე მსოფლიოს იყო მოდებული. ამიტომ აბოს წამების ფაქტი უფრო ქრისტიანული სულიერების, და ამ ნიადაგზე ეროვნული თავმოყვარეობის ამაღლებისათვის გამოუყენებიათ ჩვენს წინაპრებს. ამას გვიდასტურებს „წამებაი წმიდისა მოწამისა ჰაბოისი", რომელიც აბოს მარტვილობის უმალვე თუ არა, მომდევნო სამ-ოთხ წელიწადში, ე.ი. 786–790 წლებში მაინც უნდა იყოს დაწერილი.

თავად თხზულების სრული სათაურიდან და თხრობისათვის წამძღვარებული სამოელ ქართლის კათალიკოსის წერილიდან ირკვევა, რომ ამ ნაწარმოების ავტორია იოანე ძე საბანისი.

ვინ იყო იოანე და რა ვიცით ამ უნიჭიერესი მწერლის შესახებ? ბევრი არაფერი, რადგან იოანეს ბიოგრაფია არ მოგვეპოვება. მხოლოდ კათალიკოსის ხსენებული წერილიდან და თავად იოანეს თხზულებიდან თუ ვიგებთ ზოგ რამეს მისი ვინაობისა და საქმიანობის შესახებ. ასეთი მასალა კი, ცხადია, რამდენადმე ვარაუდების სფეროში გვაქცევს და დიდ სიფრთხილეს მოითხოვს ჩვენგან.

იოანეს მამას საბანი, ანუ საბა რქმევია, ამიტომ სამოელის წერილსა თუ თავად იოანეს თხზულების სათაურშიც აღნიშნული იოანე ძე საბანისი იმას კი არ ნიშნავს, რომ იოანე გვარად საბანისძე იყო, არამედ იმას, რომ მის მამას საბანი რქმევია.

ჰაგიოგრაფიულ თხზულებებს უმეტესად მარტვილობათა თვითმხილველნი და თავად წამებულთანაც კარგად დაახლოებული პირები წერდნენ. მაგ, იაკობ ცურტაველი შუშანიკის პირადი ხუცესი და ჭირში თანამდგომი იყო, მან დედოფლის სიცოცხლეშივე განიზრახა თავისი თხზულების დაწერა. იოანეც აბო თბილელის მარტო თანამედროვე კი არა, აბოსთანაც მეტად დაახლოებული პირი ყოფილა. ამას [illegible] მწერალი, როცა თავისი მოთხრობის მეოთხე თავში ასე მიმართავს მარტვილს: „და კუალად მეშინის მე დადუმებად, რამეთუ სანატრელითა მით ქრისტესმიერითა სიყუარულითა შემიყუარე მე, ვიდრე იყავლა სოფელსა ამას შინა ჩუენსა". მათი ამგვარივე ურთიერთობაა მინიშნებული კათალიკოსის წერილშიც, სადაც სამოელი შეახსენებს იოანეს: „შენ თჳთ უწყი სანატრელისა ამისა მოწამისა ჰაბოისი, რომელი დღეთა ამათ ჩუენთა იმარტჳლა". ამიტომ ღვთის შემწეობით „ხელყავ გამოთქმად სრულიად ჭეშმარიტად, ვითარ იგი იყო და ვითარცა შენ თჳთ უწყი". „ვითარცა შენ თჳთ უწყი" წერილში გამეორებულიც კი აქვს კათალიკოსს, რაც იმას გვიჩვენებს, რომ იოანე მართლაც უახლოესი მეგობარი უნდა ყოფილიყო აბოსი და მისი გაქრისტიანებისა და შემდეგ კი მარტვილობის ყოველი წვრილმანის ზედმიწევნით მცოდნე.

თბილისში ჩამოსული აბო, როგორც თხზულებიდან ვიცით, ნერსე ერისთავთან ცხოვრობდა და იოანესაც თითქოს აქვე შეეძლებოდა გაცნობოდა, რადგან ქართლის ხელისუფალთა შორის მისი გამორჩენა იშვიათი არ უნდა ყოფილიყო, რაც ისევ კათალიკოსის წერილიდან იგრძნობა. მაგრამ ამით, ბუნებრივია, საბოლოოდ მაინც ვერ იხსნება იოანესაგანვე ნათქვამი, რომ აბოს იგი „ქრისტესმიერითა სიყუარულით" შეუყუარებია. განა რა ნიადაგზე, ანდა რა საქმის გამო უნდა მომხდარიყო მათი ასეთი დაახლოება და სულიერი სიყვარული? რა ჰქონდათ საერთო?

„აბოს წამება"-ში არის ერთი ადგილი, რომელიც ნათელს უნდა ჰფენდეს მათს ამ გულითად ურთიერთობას.

იოანე როცა საღვთო შჯულში აბოს თანდათანობით განსწავლას ეხება, ასეთ რამეს წერს: „მაშინ იწყო ზედმიწევნად და სწავლად წმიდათა საღმრთოთა წიგნთა ძუელისა და ახლისა შჯულისათა, რამეთუ უფალი მეცნიერ ჰყოდა მას და **მოიგონის იგი წმიდად ეკლესიად** და მარადის **ისმენნ** წმიდათა სახარებათაგან და საკითხავთა მათ

→ 9

---

სამწუხაროდ, ტექნიკური მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა ე.წ. ხმარებიდან გასული ასოების გამოყენება (რედ.)

8 ◄

საწინაისწარმეტყველოთა და მოციქულთა და მრავალთაგან შეგულის მეცნიერთა **იკითხავნ** და **ისწავლიან**. ხოლო რომელთამე რჩევა თუ ცილობით **წინააღუდგებიან**, არამედ მიზეზ სწავლისა ეძიებენ მას და ესრეთ სრულ იქმნა იგი ყოველთა მოძღურებითა, რომელი აქუს წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა ქრისტეს მიერ".

„მოვიდის", „ისმენ", „იკითხავნ" და „ისწავლიან" უეჭველად გვიჩვენებენ, რომ აბო მრავალგზის მიდიოდა იქ, სადაც ასე ბეჯითად ეწაფებოდა სწავლას. ხშირად კამათობდა კიდეც. თუ რამეს ვერ გაიგებდა, მის სიღრმეს ვერ ჩასწვდებოდა, მაგრამ როცა უხსნიდნენ, განუმარტავდნენ საღვთო წერილის ურთულეს ადგილებს, ესეც „მიზეზ სწავლისა ეძიებდიან მასო", აღნიშნავს იოვანე და აქ განსაკუთრებით საგულისხმო ის არის, **რომ ყველაფერი ეს ხდებოდა იმ ეკლესიაში, სადაც იოვანეც იყო და ვგონებ მსახურობდა კიდეც**. „მოვიდის წმიდად ეკლესიად" და ა.შ. სწორედ ამას უნდა გვიდასტურებდეს, თორემ ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ იგი ამას ასე დაწერდა: „მოვიდის იგი წმიდად ეკლესიად" და ა.შ.

მაშასადამე, იოვანე ამ საბუთით სასულიერო პირი ჩანს. ვგონებ მართლა ეპისკოპოსიც კი იყო, როგორც ვარაუდობენ და აბოსაც თუ არა მასთან, აბა სხვასთან ვისთან უნდა ევლო ქრისტიანობის არსში გარკვევისათვის იმ ეკლესიაში, სადაც თავად იოვანეც იმყოფებოდა? სხვა ვინ უნდა ყოფილიყო იქ ისეთი, რომლის „წადიერებაი ღმრთისმსახურებისათვის და ღმრთისმოშიშლებაი... მეცნიერებაი საღმრთოთა წიგნთაი" თვით ქართლის კათალიკოსისათვისაც კი იყო ცნობილი? მართლაც თუ არა ასეთ განსწავლულ პირთანა და დიდ პატრიოტთან, სხვასთან ვისთან შეიძლებოდა აღზრდილიყო ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის არაბი ჭაბუკი ისეთი სულისკვეთებით, რომ შემდეგ მას თავიც კი გაეწირა ჩვენი სარწმუნოებისათვის?!

გარდა ამისა, განა ამ ნიადაგზე უფრო ბუნებრივი არა ჩანს მათი დამეგობრებაც, რაც არსებითად მინიშნებულიც არის იოვანესაგანვე ნათქვამში: „ქრისტესმიერითა სიყუარულითა შემიყუარე მე ვიდრე ფჳავლა სოფელსა ამას შინა ჩუენსაო". მათი ამგვარი სიყვარული, რაც სულიერ სიახლოვეს გულისხმობს, მართლაც აღნიშნულ ურთიერთობაში თუ შეიძლებოდა გამონასკვულიყო, თორემ აბა ისე რა უნდა ჰქონოდა საერთო მენელსაცხებლე ხელოსანთანა და მსახურთან ქართლის კათალიკოსის რჩეულსა და მისანდო სწავლულს?!

გარკვეულია, რომ იოვანე საპასუხო წერილში თახვეულ იხსენიებს თავის თავს, როგორც „ულირსს", რაც მხოლოდ სასულიერო პირთათვის არის დამახასიათებელი. ასევე ახსნილია სამოელის მიმართვაც იოვანესადმი: „მშვიდობაი იყავნ შენ ზედა და ყოველსა სახლსა შენსა კრებულითა ქრისტეს მიერ". აქ სამოელი უნდა გულისხმობდეს იმ სასულიერო პირთა კრებულს, ანუ ეკლესიას, რომელთაც უთავრცა ეპისკოპოსი ხელმძღვანელობდა იოვანე.

ზემოთ ნათქვამის გარდა თხზულების საერთო ხასიათი და განსაკუთრებით კი პირველი და მეორე თავების სტრუქტურიდანაც ჩანს იოვანეს სასულიერო მოღვაწეობის ხასიათი: ამ თავებში მრევლისადმი მიმართვის ფორმა, მასთან კონტაქტი ისე ბუნებრივად არის მიგნებული, რომ ამგვარი რამ მისთვის არც პრაქტიკულად უნდა ყოფილიყო უცხო.

მაშასადამე, ეს ფაქტები უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ იოვანე სასულიერო მოღვაწე ყოფილა და მას თბილისის ერთ-ერთ ეკლესიაში უმსახურია. აქ დაახლოებია აბოს და მასაც შეპყრობია თავისი გულითადი მოძღვარი „ქრისტესმიერითა სიყუარულითა". ეს თუ ასეა, ბუნებრივია, გაჩნდება კითხვა, კი მაგრამ თბილისის რომელ ეკლესიაში შეიძლებოდა ემსახურა მას, სადაც ასე წადიერად მოძღვრავდა აბოს? „აბოს წამება", სავარაუდოა ამაზეც უნდა იძლეოდეს პასუხს.

„წამებაში" აღნიშნულია, რომ არაბებმა აბოს თავი მოჰკვეთეს იმ ეკლესიის ეზოში, რომელიც ორმოცი სებასტიელი მოწამის სახელზე ყოფილა აშენებული: მოჰკვეთეს მაშინ, როცა ჩვენი ეკლესია და მისი მრევლი ნათლისღებას აღნიშნავდა, ექვს იანვარს, დღის სამ საათზე. შემთხვევითია ეს? ცხადია, არა! „წამებაში" ნათქვამია, რომ არაბები აბოს სამაგალითოდ დასჯას მოითხოვდნენ აბოს [illegible]ბაზე იცოდნ[illegible], რას [illegible]ნენ რას: გა[illegible] აბო „უშო[illegible] ვალით [illegible] და მრავ[illegible] ტვან; ყოფად", ამიტომ „ბრძანე შეპყ[illegible]ა მისი და შეაგდე იგი საპატ-ყრო[illegible] და გუშაგს, ვიდრემდის არა აღიარ[illegible] შჯული მამეთ მოციქულისა ჩუენი[illegible] უკუეთუ არა, მოაკუეთე იგი, რათა [illegible]ა მობაძვე იქმნენ მისა მრავალნი სხ[illegible]ვანი მისთანანი". ამავე მიზნით და აზრით ირჩევდნენ არაბნი მაშინაც, როცა წმინდა მოწამის გვამს თხოულობდნენ: მოკვეთი დაეწვათ და „განვაქარვოთ" მისი ფერფლი, რომ „იხილონ ყოველთა და შეეშინოს და რომელნიმე მათგანი მოიქცენ ჩუენდა, და ჩუენგან ეშინოდის და არღარა შეუდგენ სწავლასა ქრისტეანეთასა". რადგან ამას ისახავდნენ მიზნად, რომ აბოს სამაგალითოდ დასჯით დაეთრგუნათ ქართველთა თავისუფლებისმოყვარეობა, მაშ სად შეეძლოთ ისეთი სასურველი ეფექტით განეხორციელებინათ ეს სისასტიკე თუ არა იმ ეკლესიის მრევლის თვალწინ, რომელშიც ხშირად გამოჩნდებოდა ხოლმე აბო? სადაც იგი გაქრისტიანდა და გაიწვრთნა საღვთო შჯულში? მაშასადამე, გამოდის,რომ იოვანეს ორმოცი სებასტიელი მოწამის სახელობის ეკლესიაში უნდა ემოღვაწა. იქნებ ამანვე განაპირობა, რომ „აბოს წამებაში" ამ მოწამეთა შესახებ დაწერილი თხზულების კვალიც ჩანს, ჩანს თანაც უბრალოდ კი არა, გარკვეულ ეპიზოდთა მსგავსებითაც კი?!

ეს ეკლესია ამირას სასახლის საახლოვეს მდგარა, ჩვენი დედაქალაქის იმ უძველეს უბანში, სადაც ახლა აბანოთუბნიდან ბოტანიკური ბაღისაკენ აღმართის შეუდგება გზა. იოვანეს სხვა თხზულებას არ მოუღწევია ჩვენამდე არა და იგი სახელმოხვეჭილი მწერალი უკვე „აბოს წამების" დაწერამდე ყოფილა. ეს კარგადა ჩანს სამოელის წერილიდან, ამიტომ ვგონებ არ ცდებიან მკვლევარნი, როცა იოვანესვე მიაკუთვნებენ აბოსადმი მიძღვნილ კიდევ ერთ ჰიმნოგრაფიულ თხზულებას, რომელსაც იმავე მერვე საუკუნიდან მოუღწევია ჩვენამდე. შენიშნულია, რომ ეს თხზულება ბევრი საგულისხმო დეტალით ეხმიანება „აბოს წამებას".

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ინტერვიუ

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის კათედრის პროფესორი ლილი გოძაძე ამ ორი თვის წინ დაბრუნდა ინგლისიდან, სადაც იგი ერთთვიანი მივლინებით იმყოფებოდა. გვსურდა ამ მივლინების შედეგები გაგვეცნო ჩვენი მკითხველისათვის. ჩემი და ქალბატონი ლილის არაერთგზის შეხვედრისა და საუბრების შედეგად შევთანხმდით, ჩვენს გაზეთში შემოვიღოთ ქართულ-ბრიტანული ყოფის ამსახველი რუბრიკა. დასაწყისისთვის გადავწყვიტე, რამდენიმე კითხვით მიმემართა ქალბატონი ლილისათვის.*

# საქართველოს ჩვენ რას ვარგებთ

**– ქალბატონო ლილი, რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, ეს არ იყო თქვენი პირველი მივლინება ინგლისში. ხომ არ გაიხსენებდით პირველ სტუმრობას დიდ ბრიტანეთში.**

– უპირველესად მინდა მოგახსენოთ, რომ ჩემთვის დიდი პატივია თქვენს გაზეთში მოღვაწეობა, რადგან ეს მიმაჩნია ენათმეცნიერების ინსტიტუტთან თანამშრომლობის ერთ-ერთ ფორმად. დიდი მადლობა თქვენ ამისათვის. მე მოწიწების გრძნობა მაქვს ამ ინსტიტუტის მიმართ.

გაზეთის "ბურჯი ეროვნებისა" მკითხველთათვის კარგადაა ცნობილი, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ენის სპეციალისტისთვის იმ გარემოში მოხვედრას, სადაც ეს ენა მშობლიურია და სადაც ამ ენის მეცნიერულ კვლევას ღრმა ფესვები და დიდი ტრადიციები აქვს. მე პირველად ინგლისში 1986 წელს ვიყავი და მას შემდეგ ჩემს ცხოვრებას ორ ნაწილად ვყოფ: ინგლისში ყოფნამდე და შემდეგ. მივლინების ამ ოთხმა თვემ დიდი პროფესიული და ცხოვრებისეული გამოცდილება შემძინა, ამიტომ დიდად მადლობელი ვარ ყველასი, ვინც ამ წასვლაში ხელი შემიწყო. იქ დავინახე, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ფონისეულ ცოდნას (background knowledge), როგორც კომუნიკაციისას, ასევე ადამიანთა ხასიათების ამოცნობასა თუ სხვა საქმეში და მაშინ ჩავყარე საფუძველი იმას, რის განხორციელებასაც მე ახლა ვაპირებ, ნაწილობრივ თქვენი გაზეთის მეშვეობითაც.

**– რას გამოყოფდით, როგორც ყველაზე მნიშვნელოვანს, პირველი მივლინების დროს?**

– მნიშვნელოვანი და საინტერესო ბევრი რამ იყო. მაგრამ მწვერვალი მაინც ალბათ პროფესორ რენდოლფ კვერკთან შეხვედრა იყო 1986 წლის 7 ნოემბერს, დილის 11 საათზე ბრიტანეთის აკადემიის შენობაში. ეს შეხვედრა მე ბატონმა დონალდ რეიფილდმა მომიწყო და მახლდა კიდევაც ამ დაუვიწყარ შეხვედრაზე. პროფესორი რენდოლფ კვერკი ინგლისური ენის სფეროში დღეს უდიდესი ფიგურაა– ბრიტანეთის იმპერიის ორდენის კავალერი, ბრიტანეთის აკადემიის წევრი, ლონდონის უნივერსიტეტში "The Survey of English Usage"-ის დამაარსებელი, მრავალი საინტერესო ნაშრომისა და ფუნდამენტური წიგნის ავტორი.

**– რით ახსნით ინგლისური ენისადმი ასეთ დიდ სწრაფვას დღეს?**

– მისი გეოგრაფიული გავრცელებით და დიდი ფუნქციური დატვირთვით. ინგლისური დღეს უპირატესად ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო არენაზე და, ამდენად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. პროფესორ რენდოლფ კვერკის მონაცემებით, დღეს ინგლისურად 700 მილიონი ადამიანი მეტყველებს, აქედან 300 მილიონისთვის იგი მშობლიური ენაა. დანარჩენისთვის კი – მეორე ენა. ხოლო კვერკის მიერ შემუშავებული [illegible] დამახასიათებელი ობიექტური კრიტერიუმების მიხედვით (მოლაპარაკეთა სიმრავლე, გეოგრაფიული გავრცელება-ფუნქციური დატვირთვა ანუ რა მიზნებით იხმარება ესა თუ ის ენა) ინგლისური საერთაშორისო ენად შეიძლება ჩაითვალოს. ვფიქრობ, უდავოა, რომ ინგლისური დღეს წარმოადგენს კულტურულ ღირებულებათა მეცნიერებისა და ლიტერატურის, თუ ტექნიკური პროგრესის ასახვისა და გავრცელების უმთავრეს საშუალებას, ინგლისური კომპიუტერიზაციის, ავტომატიზაციისა და მსოფლიო დიპლომატიის მთავარი ენაცაა.

**– როდის გაგიჩნდათ აზრი ინგლისურ-ქართული ყოფის თავისებურებათა კვლევისა?**

– ამაზე შეიძლება ზუსტი პასუხი გაგცეთ. 1986 წლის ივლის-აგვისტოში, ანუ ინგლისში წასვლამდე, როდესაც დავწერე და გამოსაქვეყნებლად დავტოვე სტატია. ამის შემდეგ კი ეს აზრი არ მშორდება.

ცხოვრების დღევანდელმა პირობებმა გამოიწვია სხვადასხვა ენობრივი კოლექტივების წარმომადგენელთა, სხვადასხვა სახელმწიფოთა და, აქედან გამომდინარე, განსხვავებული ყოფის, ფსიქიკისა და განწყობის მქონე ინდივიდთა თუ სოციალურ ჯგუფთა შორის ურთიერთობის აუცილებლობა. ამდენად, უცხოური ენის ცოდნა დღეს არ ნიშნავს მხოლოდ სიტყვების მარაგის ქონას და წინადადების სწორად აგების წესების ცოდნას. მთავარია იცოდე სიტყვის შესიტყვებადობა და გქონდეს მისი სხვადასხვა სიტუაციაში სწორად გამოყენების უნარი.

დღეს განსაკუთრებით მწვავედ დგას სოციალური ნორმების დაცვისა და სწორი გაგების, უზრუნველყოფის საკითხი. ამგვარად, ინგლისური ენის შემსწავლელ ქართველ ენათმეცნიერთა წინაშე, ვფიქრობ, დღეს დგას საპატიო ამოცანა: შეპირისპირებითად შეისწავლონ და როგორც ინგლისურის, ისე ქართულის შემსწავლელებს მიაწოდონ არა მხოლოდ ე.წ. "საყველპურო" ქართული თუ ინგლისური, არამედ ისეთი ნორმები და ფორმები, რაც უზრუნველყოფს წარმატებულ კომუნიკაციას. მე და ჩემს სამუშაო ჯგუფს სწორედ ამ საქმეში გვინდა შევიტანოთ ჩვენი მოკრძალებული წვლილი. ვფიქრობ, ეს სასარგებლო იქნება, რადგან მიზნად ისახავს პარტნიორის გულის მომგები სიტუაციის შესაფერი ენობრივი ნორმების და შესაბამისი რჩევების მიწოდებას, როგორც ქართული, ისე ინგლისური ენების შემსწავლელთათვის.

**– ამ კვლევის შედეგებზე და სამომავლო მიზნებზე რას ეტყოდით ჩვენს მკითხველს?**

– ხუთი წელია მე და ჩემი ასპირანტი ირინე დემეტრაძე ვმუშაობთ ფატიკურ კომუნიკაციაზე. უკვე გამოვაქვეყნეთ რამდენიმე სტატია და წავიკითხეთ მოხსენებები სამეცნიერო კონფერენციებზე. სიამაყით მინდა ვთქვა, რომ ჩემი სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი სწორედ ირინე დემეტრაძეა. ალბათ უპრიანი იქნება, რომ ჩვენს სამუშაო გეგმაზე და მიზნებზე შემდგომ მოგახსენოთ.

**– საახალწლოდ რას უსურვებდით ჩვენს მკითხველებს და საერთოდ ქართველ ერს?**

– ბედნიერ ახალ წელს ვუსურვებ ყველას: გამდიდრებულთ – გულისხმიერებას და თვითკრიტიკულობას, გაღარიბებულთ – საფუძვლიან იმედს და უკეთეს მომავალს.

ესაუბრა **გიორგი გოგოლაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სკოლა - ჩვენი სატკივარი

# ფიქრები საზოგადო ჭირზე

მსოფლიოს რუკაზე წერტილის ოდენად მოჩანს საქართველო. კაცობრიობის დიდი ნაწილი, ვგონებ, არც კი გვიცნობს, არ იცის, ვინა ვართ, რანი ვართ, რას გავუძლით და რის ფასად შევინარჩუნეთ მამული, ენა, სარწმუნოება. საუკუნეების მანძილზე გვწყვიდა და გვანადგურებდა ათასი რჯულის მტერი, მაგრამ საკუთარი ჯიშის გადარჩენის ძალა მუდამ შეგვწევდა. მაინც რა ასაზრდოებდა ამ ძალას? – ალბათ, მარადიული სიკეთისა და სინათლისაკენ ლტოლვა. ქართველის უპირველესი მისია სამშობლოს დაცვა იყო. მას ღრმად სწამდა, რომ მამულიდან კი არ უნდა გაქცეულიყო, არამედ იცოდა, რომ „კურთხეულ არს შვილი, რომელიც მამის წილს უპატრონდება“, ლოცავდა, ეთაყვანებოდა მას.

ამ სიღრმეზე აღმოცენდა საუკუნეთა მიღმა ქართული ეროვნული სკოლა, ისიც იდევნებოდა და ვინ იცის, იქნებ კიდევაც იდევნება. მაგრამ ახლა ჩვენ უნდა ვიდგეთ დარაჯად. უპირველესი მიზეზი მისი დაცვისა კი უნდა იყოს მრავალჭირგადახდილი მშობლიური ენა, ლიტერატურა, რომელშიც ჩაბეჭდებულია ჩვენი ეროვნული ცნობიერება, ჩვენი ინტელექტი და გრძნობა, ჩვენი სიდიადე და პატიოსნება, ძალა და მეტყველების უნარი, ქართველი კაცის ისტორიული გამოცდილება, აწმყოსთან დამოკიდებულება და მომავლის შეგრძნება“.

ჩვენ კი რა დაგვემართა, სად წასულა, გაუჩინარებულა განვლილი მისია, რატომ გაგვიმტვერიანებია თაროებზე ძვირფასი ქართული ლიტერატურა, მასში დაცული ერის ისტორია. რითღა ვუვლით და ვკვებავთ მომავალ თაობას? რატომ ვეპოტინებით სხვისას და საკუთარი კერა თუ გმირი აღარ გვესმის? რატომ გვემართება ასეთი საშინელება:

„იუდას საქმეს უქებენ,
ჯვარზე აცმევენ ქრისტესა?!“

ყოველ ქართულ ოჯახს შვილი უცხო ენების პედაგოგებისთვის მიუბარებია და „დედაენის“ ავტორს კი არ იცნობენ. მდიდარი ქართული ენა გაუმართაობებით და ძვირფას სიტყვასამკაულებს უცხოური გამოთქმით ცვლიან, ვითომ რატომ? სხვა ენას მეტი მშვენება აქვს? მეტად აღუძრავს მსმენელს მადას? დავიწყებიათ, ქართველი ერის უბადლო ჭირისუფლის, დ. გურამიშვილის, შთამაგონებელი სიტყვები:

„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო,
ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო“.

პირადი ღირსების დაცვას მოკლებული ეს რად უნდა? ვინ იკისრის ამ გადაგვარების დაძლევის მისიას? ალბათ, უპირველესად ოჯახმა, სკოლამ და საზოგადოებამ.

სკოლას მოაკლდა ძლიერი მეთვალყურის ხელი და თვალი, რათა „ცხოველად დაახნოს“ მშობლიური ენის ცოდნა თაობებს. წამოდგება ვინმე თავის მმართლებელი და იტყვის: ელექტროენერგია არ გვიწყობს ხელს, გვცივა, გვშია, ფიზიკურად დავსუსტდით და სულიერ მოთხოვნილებებისათვის ამიტომ ვეღარ ვიცლითო. ის კი დავიწყებიათ, რომ სული იმავდროულად ძალაც არის და „ძალა აღმართს ხნავს“. იქნებ ყველაზე უპრალო გლეხმა თქვა, მაგრამ რამხელა ჭეშმარიტება იქადაგა: „თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმება“. აღარ მინდა ანდაზებით „დავიცვათ“ საკუთარ უბედურებას, ყველამ „საზოგადო ჭირს“ უნდა მოვკიდოთ ხელი, თორემ არ აგვცდება უარესი დასასრული– მარადიული ბნელი, მარადიული სიცივე, მარადიული შიმშილი.

ვის მივმართოთ უპირველეს ყოვლისა ამ საჭიროთ? – მთელს საქართველოს?

– ალბათ, მაგრამ მთავრობა, ერის [illegible]? იქნებ გულხელდაკრეფილნი ელიან, როდის იღვიძებს ერი უკე-დავიწყებულად, დროებით მიძინებული თვითშეგნების რწმენა?

ფაქტები გვაიძულებს, რომ აღიარებულად ვილაპარაკოთ საშინელებებზე: მეათე კლასის მოსწავლეებმა თანამედროვე ქართულ ანბანში რამდენი ასო-ნიშანია, არ იციან; აღარაფერს ვამბობთ ანბანის შემქმნელისა თუ ხმარებიდან გასულ ასოებზე. საკვირველია, როგორ კითხულობენ სწავლადაწყებული ბავშვები ქრისტიანთა უპირველეს საკითხავ წიგნებს: სახარებას, „შუშანიკის წამებას“, „აბოს წამებას“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას“, რატომ ემუდარებიან გაკვირვებაში ჩავარდნილი მოსწავლეები მეზობლებს, უფროსებს, გამოცდილ ადამიანებს დავალება დამაწერინეო? რატომ არ ჩანს მათ აზროვნებაში საკუთარი ცოდნა? იქნებ ყველაფრის მიმართ ზერელე და უხეში დამოკიდებულებამ განაპირობა ენის წახდენა. რატომ გვავიწყდება გრიგოლ ორბელიანის შეგონება:

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს,
წავცხოთ ჩირქი
ტაძარსა წმიდას“.

რა არ მოგვწონს ქართულ მწერლობაში? მოვემართოთ ისევ და ისევ პედაგოგებს. ნუთუ შეცდა ქართველთა გენია – შოთა რუსთაველი, რომელსაც თავისი სულის ბრწყინვალე გამონაშუქი ფურცლებს მიანდო და საკვებად წინ დაგვიდო? უფლება გვაქვს, რომ საკუთარი თავი უარვყოთ? საკუთარი ღირსება შევლახოთ? და პედაგოგებს, ფილოლოგებსაც მოვუკლოთ უფლება და დავაკისროთ მისია, ერის გაძლიერების „ზეციერი მომავალი საქართველო“, „ვეფხისტყაოსნის“ თამაშში მოიძიოთ ეს ძვირფასი დრო? ნუთუ ძნელია იმის განჭვრეტა, რომ ყოველი სუსტი თითო ნგრევაა იმ დიდი ეროვნული შენობისა, რომლის შენებასაც მოუნდა აქამდე დიდი ქართველობა.

აბა, მოულოდნელად ეწვიეთ, ამ საქმის მესვეურნო, ქართულ სკოლებს, კერძოდ, მშობლიური ენის გაკვეთილებს და ეცადეთ იქიდან დამშვიდებული გულითა და ნამუსით გამოსვლას. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს არ იცნობენ ბავშვები, არ იციან, ვინ იყო სულხან-საბა, რატომ უწოდებენ ილიას მკვლელობას – „ერის თვითმკვლელობას“, ანდა იმავე ფაქტის გამო რატომ თქვა ვაჟამ

„ყოფილა, არა მჯეროდა,
მტერობა თავის თავისაო“.

შედიხარ უფროსკლასელებთან, პედაგოგს გამოჰყავს მოსწავლე დაფასთან, აწერინებს მარტივ (უმარტივესს თუ არა) წინადადებას და მოსწავლე „ზმნას“ და „არსებით სახელს“ ვერ არჩევს ერთმანეთისაგან.

თუმცა ამჯერად კონკრეტულ პედაგოგებს არ ვგულისხმობ, ზოგადად, საქმის ზერელობას, უსულგულო დამოკიდებულებას ვგულისხმობ და, აქედან გამომდინარე, იმ დიდ საფრთხეზე მოგანიშნებთ, ერის გადაგვარება და სიკვდილიც კი რომ შეიძლება მოჰყვეს.

ვინც ჩემს წერილში „თავის-თავს იცნობს, დაწერილს თავის თავზე მიიღებს, ის, რასაკვირველია, ლაფის სროლას დამიწყებს და „გიჟის“ დაუძახებს ამ სიტყვების უხეირო დამწერს. ეს კარგად იცოდნენ, რომ ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვწერთ. სხვამ რაც უნდა თქვას, მე კი ამ სიტყვების სიმართლით გავამხნევებ ჩემს თავს: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანო“.

**მაია ძოწიაშვილი**
*თბილისის 41-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი*

## ენა მთისა და ბარისა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეპირი მეტყველება სალიტერატურო ენის გამდიდრების უშრეტი წყაროა. რამდენი სიტყვა, ფრაზეოლოგიური გამოთქმა ცოცხლობს ამა თუ იმ კუთხეში და ნაკლებად (ან არ) იცნობენ მას საქართველოს სხვა კუთხეში... დღეს იმერეთში ჩაწერილ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებს გთავაზობთ.

# იმერული ლექსიკიდან

**აგერ რომ დამარხო, ეგერ გამოვა** – მეტისმეტად ეშმაკია, ჩუმჩუმელაა, მისას ვერაფერს გაიგებ, ვერ ენდობი: „უბედური ჩუმალიე ეშმაკია, აგერ რო დამარხო, ეგერ გამოვა, მაისას რას გეგებ".

**ამოირეცხავს გულს ამინდი**– დიდი ხნის ავდრის, ერთმანეთის მიყოლებული წვიმიანი დღეების შესახებ იტყვიან: „იწუმებს, იწუმებს, ამეირეცხავს გულს და გარეიდარებს მერე".

**ბატონი ყოფილა**– ბევრად უკეთესი მეორესთან შედარებით, გაცილებით კარგი სხვასთან მიმართებით: „ე ჩვენი ბალანე – ბატონი ყოფილა მაიას ბალანასთან".

**გაწალდეს გზისა**– კარგი რჩევის მიცემა, საქმეში სწორი გზის ჩვენება, კარგი დარიგება: „მოსულიყო ჩემთან და გოუწალდავდი გზას".

**გულის შოვნა** – გულის მოგება, სიკეთის დაფასების უნარი, მადლიერების გრძნობა: „გარაყოლილი ვარ მაგაზე, რას არ უკეთებ და მაინც ვერ ვიშოვე მაის გული".

**დაათვალეევინა კბილები**– ყველაფერი გააგებინა, დაანახა, შეამჩნევინა ის, რაც არ უნდა შეემჩნია, შეატყობინა: „ანგრეული ვიყავი, მომიყვანა აქანე სტუმრები და არ დაათვალიერა კბილები?!"

**დაგიტოვია ალაგე და მიპიტყვალობ ლობეზე**– საქმის კეთებისას სწორი გზისთვის ვერ მიუგნია და უცოდინრობის (ან უჭკუობის) გამო რთული (ან არასწორი) გზა აურჩევია: „რო არ იცი, ქე გეგონე სხვისი– დაგიტოვია ალაგე და მიპიტყვალობ ლობეზე.."

**ერთი შეწვი, მეორე შეცხე** – ერთნაირები არიან, ერთმანეთის ღირსნი ჩანან, რაც ალხანაშ [...] შეწვი, მეორე შეცხე, არცერთი არ ვარგა მაგენი, გლახები არიან".

**ერთი ჯოხით არ იდენება ყველა**– ერთნაირად ვერ მოექცევი ყველას – კარგსაც და ცუდსაც, ავი და კარგი უნდა განირჩეს: „მაი რაფერ შეილება, ერთი ჯოხით ვერ გადენი ყველას.."

**მაღალ ფეხებზე დადის (დაიარება)** – მეტისმეტად ამაყია, უკადრისია, ამპარტავანი: „მაის გოგო მაღალ ფეხებზე დეიარება, გამარჯობას არ იტყვის კარქა-ო, ვარგოდეს მაინც რამეთ".

**თავის მოშძიმება**– დადარდიანება, დასევდიანება, დაღონება, წუხილის გამომჟღავნება: „ვეება იმას არ ენაღვლება, მარა მაინც მე ვიმძიმებდი თავს.."

**თვალი არ უხანა საქმეს** – გაკეთებული არაფერი არ ჩანს, არ ეტყობა, ბევრს შრომობს, მაგრამ შედეგი არ ჩანს, უამრავი, დაუსრულებელი საქმეა: „მაიზა მცალია ახლა მე? ხო ხედავ რამდონი საქმეა, თელი დღე შრომობ და თვალი არ უხანა საქმეს"..

**მორუჯღული ქონდა თავი**– გადაწყვეტილი და დაფიქრებული ჰქონდა, დაპირებული იყო, დაიქადნა, დაიმუქრა, გამიზნული ... ლზე გადაწყვიტა: „შალიკოს მორუჯღული ქონდა თავი, ხარს არ გაეატანო და რაფერ გაატანა?!"

**ნაღოგე ურია თავში** – უჭკუოა, არაფერი არ იცის, უგუნურია: „მაგას რავა დოუჯერებს კაცი, ნაღოგე ურია თავში".

**ხელის ჭკუით მოძებნა** – ხელის შეგრძნებით ძებნა: „მაგას კი ვერ უყურებ ახლა მე, ხელის ჭკუით ვეძებ".

ნინო ზარაშვილი

მასალა შეგროვებულია ქვემო იმერეთში, ვანის რაიონის სოფელ გადიდში. ჩაიწერე ნინა კორძეს ასულ დეალო შვილისაგან.

## თურმე

### „ო კეი"-ს მხიარული ეტიმოლოგია

ამ ფართოდ გავრცელებული ინგლისური გამოთქმის შესახებ არსებობს ეტიმოლოგიური მითი: ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯეკსონი ინგლისურ [...]ტყვებს წერდა ისე, როგორც ესმოდა. ერთხელ, როცა მას მოუტ[...]ს დოკუმენტი ხელმოსაწერად, მოიწონა და თქვა „All correct" (ოლ კორექტ) – ყველაფერი [...]რიგშია. მან ოგივე სიტყვები დააწერა [...]კუმენტს შემოკლებული სახით ისე, [...]გორც გამოითქმებოდა O. K. ვინ[...]დან K ინგლისურად იკითხება, როგორც **კეი**, რეზოლუცია წაკითხულ იქნა ასე: **ო' კეი**. ასე [...]ამკვიდრდა ჯეკსონის [...]უცოდინრობით დღესდღეობით [...]რიად პოპულარული გამოთქმა.



### პურისტების ამაო მცდელობა

ზოგჯერ პურისტები, ენის სიწმინდის დაცვით ფანატიკურად გატაცებულნი, საკმაოდ უცნაურ ვარიანტებს გვთავაზობენ. ასე მაგალითად, ვინმე შიშკოვმა გადაწყვიტა იტალიური ფორტეპიანო შეეცვალათ რუსული „*тихогромы*"-ით (forte - *громко*, piano- *тихо*). მისმა დაჟინებულმა მცდელობამ პასუხად ირონიული ღიმილი მიიღო.



ეროვნული ბიბლიოთეკა

რეპლიკა

# უვიცობა და უპასუხისმგებლობა

ახლახან თბილისის ცენტრალურ ქუჩებში უსისტემოდ განლაგებული წიგნის დახლებისა თუ თაროების თვალიერებისას ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა წიგნმა, რომელსაც ზედ აწერია: *Джон Фоли, Энциклопедия знаков и символов, Москва*, 1996.

წიგნი ინგლისურიდან თარგმნილი აღმოჩნდა (მთარგმნელი ა. პოპოვკაიბო), გვინდოდა ორიგინალის გაცნობა, მაგრამ ვერსად მოვაკვლიეთ.

ამ წიგნმა ჩვენი განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია იმ სტატიის გამო, რომელიც ქართულ ანბანს ეძღვნება და წიგნის 67-ე გვერდზე არის მოთავსებული.

ძნელია კაცმა წარმოიდგინოს იმაზე მეტი უვიცობა და უპასუხისმგებლობა, რაც ამ პაწაწინა სტატიაში ერთად არის დახვავებული: ქართული ანბანი თურმე მისიონერ მესროპს შეუქმნია V საუკუნეში, ეს ანბანი თურმე ადრეულ სპარსულ ალფაბეტს- "*пахлавик*"-ს (ფალაურს?) ეფარება, ქართულ ანბანში 33 ასოა, რომლებიც თურმე მარცხნიდან მარცხნივ იწერება. თურმე პირვანდელი საეკლესიო დამწერლობა "*кхутсури*" XI ს-ში შეცვალა საერო დამწერლობამ - "*кхедрули*".

განა ღირს, რომ ყოველივე ამის დამწერსა და მთარგმნელს სერიოზული კამათი გავუმართოთ ან პასუხი მოვთხოვოთ?! - არა, ნამდვილად არ ღირს! მით უფრო არ ღირს ასეთი "ღირსებებით" შემკულ წიგნში ვინმემ 10 ლარი გადაიხადოს!

**ზურაბ ჭუმბურიძე**

სხვა გაზეთებიდან

# უცხო ენაზე ნუ ილაპარაკებთ!...

ირანის პარლამენტმა აკრძალა უცხო სიტყვების ხმარება ზეპირსა თუ წერით მეტყველებაში, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებში, აგრეთვე საზოგადოებრივ ადგილებში. აკრძალულია ქუჩების, რესტორნებისა და მაღაზიებისთვის უცხოური სახელების დარქმევა. ბოლო დრომდე ირანელები თავისუფლად იყენებდნენ 7000-მდე უცხო სიტყვას, მათ შორის იყო „კომპიუტერი", „ფაქსი", „ტელეფონი"... ამიერიდან მათ ირანული ექვივალენტი ექნება. „ენის კანონის" მიღებამ ხელი შეუშალა მრავალი კომპანიისა და ფირმის მუშაობას. ყველა რეკლამა სასწრაფოდ გადასაკეთებელი შეიქნა. ერთადერთი ენა, რომელსაც დისკრიმინაცია არ შეეხო, არის არაბული, რადგანაც ამ ენაზეა დაწერილი მაჰმადიანთა წმინდა წიგნი ყურანი.

*პრავდა -5 ,№138*

***("კვირის პალიტრა" 52 (89), 1996 წ.)***

***რედაქციისაგან***

*ღმერთმა დაგვიფაროს, საქართველოში ვინმემ უცხო ენაზე საუბრის აკრძალვა მოითხოვოს... მაგრამ არც იმის უნდა შევეგუოთ, რომ თბილისში (და მეტ-ნაკლებად სხვაგანაც) რეკლამის ენა ძირითადად არაქართულია (ამის თაობაზე გულისტკივილით წერდა ამასწინათ გაზეთი „მშვიდობა ყოველთა"). ხომ არ დადგა დრო, ჩვენმა პარლამენტმა სერიოზული ყურადღება მიაქციოს სახელმწიფო ენის პრობლემებს?!..*

*ეს სააზროვნო ნატერაც არის ჩვენი...*

# ქალაქ თბილისის მერს, ბატონ ბადრი შოშიტაიშვილს

*ბატონო ბადრი,*

1996 წლის 8 აგვისტოს საინფორმაციო პროგრამა "მაცნემ" ტელემაყურებლებს აცნობა თქვენი აზრი ქალაქში ახლახან დადგმული რეკლამების თაობაზე. თქვენ დადებითად შეაფასეთ ეს მოვლენა და იმედი გამოთქვით, რომ ამგვარი თანამშრომლობა უცხოურ ფირმებთან კიდევ უფრო გაფართოვდება.

მოგეხსენებათ, ეს რეკლამები უცხოენოვანია. სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს ქალაქში მომრავლდა არაქართულენოვანი რეკლამები.

გვაინტერესებს: გაუქმდა თუ კიდევ ძალაშია 1995 წლის 29 სექტემბრის მერიის გადაწყვეტილება და 1995 წლის 24 ნოემბრის მერიის კოლეგიის სხდომის დადგენილება, რომლებშიც არაქართული რეკლამების ქართულით შეცვლაზე იყო საუბარი: მერიაში საამისო სამსახურიც უნდა შექმნილიყო; დაგვეთანხმებით, ქართული ენის სასიკეთოდ საქმე არ შეცვლილა.

რას უნდა ველოდოთ, სად მიდის საქმე?

გაზეთ "კვირიონის" რედაქცია

***(გაზეთი "კვირიონი" №10, 1996 წ.)***

***რედაქციისაგან***

*კარგა ხანია ეს შეკითხვა გამოქვეყნდა. მაგრამ პასუხი არ ჩანს არც სიტყვით და არც საქმით... თბილისში კი კატასტროფულად იზრდება არაქართულენოვანი რეკლამები. მართლაც, "რას უნდა ველოდოთ, სად მიდის საქმე?"*

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი წიგნები

* * *

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ დაიწყო ახალი სერიის **„ქართველი კლასიკოსები“** - გამოცემა. გამოვიდა ამ სერიის ორი წიგნი: **ალექსანდრე ყაზბეგისა** და **ნიკოლოზ ბარათაშვილის** თხზულებანი. ეს არ გახლავთ ჩვეულებრივი გამოცემა: წინამდებარე გამოცემები წარმოადგენს ქართული კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის აკადემიურად დადგენილი ტექსტებისა და შესაბამისი სამეცნიერო-ლექსიკონების ერთდროულად გამოქვეყნების პირველ ცდას. ამგვარ გამოცემათა პოზიტიური მნიშვნელობა მხატვრულ-ტექსტოლოგიური და ენობრივი თვალსაზრისით დაწვრილებით არის დასაბუთებული წინასიტყვაობაში.

წიგნები გამოსაცემად მომზადდა თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა ინსტიტუტის ქართული ენისა და მეტყველების კულტურის კათედრაზე (კათედრის გამგე დოც. ა. ლომთაძე).

კლასიკოსთა თხზულებების ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, სამეცნიერო-ლექსიკონი შეადგინეს და წინასიტყვაობა დაურთეს **ავთანდილ არაბულმა, თეიმურაზ გვანცელაძემ და ამირან ლომთაძემ.**

გამოცემათა რედაქტორია **გ. სალიაშვილი**

* * *

გამოვიდა საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნის მოყვარულთა საზოგადოების პერიოდული გამოცემა - ალმანახი **„მწიგნობარი“** 1995-1996 **(მთ. რედ. – ლ. მენაბდე).**

კრებული იხსნება რუბრიკით „წიგნი და ცხოვრება“, რომელშიც გამოქვეყნებულია ე. კოტაიშვილის „გიორგი ლეონიძე - წიგნის ტრფიალი“, გ. კარტოზიას - „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე მუშაობა გრძელდება“ და ნ. ბერძენიშვილის - „უნივერსიტეტის სარკმელი“.

ალმანახში ქვეყნდება ლ. მინაშვილის წერილი „ქვეყნის სამსახური ყველგან მსხვერპლია“. ეს წერილი არის ბოლოსიტყვაობა კრებულისათვის „ილია ჭავჭავაძე ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“, რომელიც მოამზადა თსუ „ილიას კაბინეტმა“. დაბეჭდილია აგრეთვე ს. ყუბანეიშვილის წერილი „ხელნაწერების ოდისეა“, რომელიც ვენაში დაცულ ხელნაწერებს ეხება და ე. გაბიძაშვილის „ერთი უცნაური ხელნაწერი წიგნის შესახებ“, რომელიც ეხება ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულ XVI ს-ის ხელნაწერ კრებულს. გამოქვეყნებულია აგრეთვე მ. კარანაძის [illegible] ყდის ისტორიისათვის“.

რუბრიკით „წარსულის ფურცლები“ იბეჭდება თ. ჯოლოგუას წერილი „დიმიტრი ყიფიანის ჟურნალისტური მოღვაწეობიდან“, დ. მენაბდის „სვეტით პყრობილი მწერალი“ - გაბრიელ რატიშვილი“ და გ. მიქაძის „ქართული წიგნის საფასო კატალოგები“.

კრებულში გამოქვეყნებულია გ. ნინუას, ი. გოგუაძის, ი. ნაცვლიშვილის, ნ. მახათაძის, ზ. სარჯველაძის, მ. ხელაშვილის რეცენზიები ახლადგამოსული მნიშვნელოვანი სამეცნიერო გამოცემების შესახებ.

მკითხველი გაეცნობა ტ. ყიფშიძის, მ. ჯალიაშვილის, გ. ჩხენკელის, თ. გოთუას წერილებს კოტე მაყაშვილის, ტიციან ტაბიძის, კოლაუ ნადირაძის, ლევან გოთუას შესახებ, აგრეთვე ო. ჩხეიძის, ა. გახარიას, ნ. ლეონიძის მოგონებებს.

რუბრიკით „მსოფლიოს [illegible]“ იბეჭდება თ. ნატროშვილის „მეორე ფრონტის ძიებაში“, ც. ჩიკვაშვილის „საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა“ და ვ. [illegible] მიერ შესრულებული თარგმანი ვიქტორ კუზინის წერილისა „ფილობიბლიონი“ - ბიბლიოფილიის ფუძემდებლის ტრაქტატი- ანდერძი“.

## ინფორმაცია

# „აწმყო შობილი წარსულისაგან...“

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტებს დიდი სიხარული აჩუქეს ამავე სპეციალობის კურსდამთავრებულებმა: 1996 წლის 20 დეკემბერს თბილი და ლამაზი შეხვედრა მოეწყოთ მათ თსუ ხელოვნებისა და კულტურის ცენტრში. სტუდენტებმა მხატვრულ ყდებში ჩამოსხმული დოკუმენტური მასალით შეკრებილთა თვალწინ გააცოცხლეს 20 წელი, რომელიც განვლო ეროვნულ ლიტერატურათა, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრამ დაარსებიდან დღემდე. სტუდენტებმა წაიკითხეს კურსდამთავრებულთა საკუთარი თუ ნათარგმნი პოეტური ნიმუშები, რომლებიც კათედრის მიერ გამოცემულ ორენოვან კრებულებშია შეტანილი. იყო სიმღერაც და ცეკვაც, სცენიდან მოგონებაც და ქართული იუმორიც, ელექტრომუზიკაც და მაყურებელიც იყო დარწმუნებული იმაშიც, რომ სიყვარული ყველას უნდა, რომ ყურადღება და დაფასება-შეფასება ყველას სიამოვნებს, რომ არაფერი იკარგება არც ბუნებაში, არც კათედრაზე, რომელსაც ბატონი **თთარ ბაქანიძე** ხელმძღვანელობს. ამიტომ ჩვენც ვაგრძელებთ ტრადიციას და ისტორიისათვის პრესის ფურცლებზე შემოვინახავთ იმ გოგონების სახელებს, რომლებმაც ერთი საათის მანძილზე დარბაზში შეკრებილთ დაავიწყეს ასე მომრავლებული ყოფითი პრობლემები: ნესტან ჭუმბურიძე, მანანა მაითაშვილი, ნანა რევაზიშვილი, სოფიკო ფეიქრიშვილი, მაია ზაკალაშვილი, ნინო ლეონიაშვილი, ნათია უსტიაშვილი, თამარ ვარძელაშვილი, მარეხ ჟორჟოლიანი, ნათია ხარაძე, გვანცა გოგალაძე და კიდევ უნივერსიტეტთან არსებული რუსთავის ქართული გიმნაზიის XI კლასის მოსწავლე ეკა ბაქაძე, რომელმაც მშვენიერი მუსიკალური ფონი შეუქმნა სტუდენტებისაგან წარმოდგენილ მასალას.

იყო გულწრფელი მილოცვები, დალოცვები და მადლიერების გამომხატველი სიტყვები, რომლებიც წარმოთქვეს კურსდამთავრებულებმა ტატა ვეფხვაძემ და ნინო ბოჭორიშვილმა, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა პროფ. კორნელი დანელიამ, პროფ. გიორგი წიბახაშვილმა, ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ დოც. რევაზ ხვედელიძემ, დოც. კოტე [illegible], უფრ. მასწ. ზაურ მეძველიამ, ფილ. მეც. დოქტორმა ნანა გაფრინდაშვილმა, დოც. რუსუდან ჭანტურიშვილმა, დოც. ქეთევან ბურჯანაძემ, პროფ. თთარ ბაქანიძემ.

შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კონტაქტები მშობლიურ კათედრასთან ხშირია და ნაყოფიერი.

**ლალი ნიშნაძე**

ანბანანი

[illegible] ოთახი

შეიცავს თამაშ[illegible] ფონეტიკის, გრამ[illegible]იკის, ლექსიკოლოგიისა და სტილის[illegible]იკის ელემენტებით.

# ორფევსი და ევრიდიკე

*(მეორე ნაწილი)*

*ერთხელ მინდორში მყოფ ევრიდიკეს შხამიანმა გველმა უკბინა და გესლმა საბრალო ქალი სიცოცხლეს გამოასალმა.*

*სასოწარკვეთილი ორფევსი უდიდესმა მწუხარებამ მოიცვა. მან ნაღვლიანად ააჟღერა ქნარი. სევდიანმა ჰანგებმა მთელს არემარეს ამცნო მომღერლის უბედურება. ბუნებაც ისე დამწუხრებულიყო, თითქოს ორფევსს თანაუგრძნობდა.*

1. შეადგინე წინადადება შემდეგნაირად:

მეორე აბზაცის მეორე სიტყვას

| ო | რ | ფ | ე | ვ | ს | ი |
|---|---|---|---|---|---|---|

+ პირველი აბზაცის მეორე სიტყვა □□ +

პირველი აბზაცის მეოთხე სიტყვა ბოლო თანხმოვნის გარეშე □□□□□□□□ + პირველი აბზაცის მეშვიდე სიტყვის მესამე ასო □ +

პირველი აბზაცის პირველი სიტყვის პირველი ორი ასო □□ + მეორე აბზაცის ბოლო სიტყვის მერვე და მეცხრე ასოები □□ +

პირველი აბზაცის მეშვიდე სიტყვის პირველი ასო □ +

მეორე აბზაცის პირველი სიტყვის ბოლო ორი ასო □□ +

პირველი აბზაცის მეორე სიტყვის პირველი ორი ასო □□ + მეორე აბზაცის პირველი სიტყვის მეხუთე მარცვალი □□ +

პირველი აბზაცის ბოლო სიტყვის ბოლო ხმოვანი □.

მიღებული წინადადება ჩაწერე აქ

- □□□□□□□ □□

□□□□□□□□ -

□□□□□□□□□ □□□□□

**მითი** (მითოსი) ბერძნული სიტყვაა, ძველ ხალხურ თქმულებას ნიშნავს.

სხვა მითები თუ იცი?

1. ..................................................................

2. ..................................................................

3. ..................................................................

2. **სასო** რწმენას, იმედს ნიშნავს. ორფევსს სასო წარეკვეთა, მან იმედი დაკარგა. ესე იგი როგორი იყო ორფევსი?– იმედდაკარგული, უიმედო ანუ

□□□□□□□□□□□□□□

3. ქნარი სიმებიანი საკრავია. ჩამოწერე შენთვის ცნობილი სამუსიკო ინსტრუმენტები.

1. ........................... 6. ...........................

2. ........................... 7. ...........................

3. ........................... 8. ...........................

4. ........................... 9. ...........................

5. ........................... 10. ...........................

შემოხაზე სიმებიანი საკრავების ნომრები.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## აბა, გამოიცან!

ახალი წლის ნუგბარია,
დიდ-პატარას უყვარს აკი,
ნიგოზს თაფლში თუ შეურევთ,
გამოგივა . . . . . . .

..........................................................

გაზაფხულის მოსვლას გვამცნობს,
გამოცნობა გაქნელა?
„დედაენა" მით იწყება,
მეორეა ენძელა.

..........................................................

სასმელები მრავალია,
ჩამოვთვალო გინდა ათი,
ბავშვს იზიდავს, უფრო მოსწონს
პირშუშხუნა . . . . . . . .

**ზურაბ ჯალაღანია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საახალწლო მილოცვა

ჩვენს მრავალტანჯულ მიწაზე შემოდის წელი ახალი,
ბევრი გვაქვს სავიგლახო და საფიქრალ-თავში
სახალიც -
საკუთარ სახლში მტრად გვექცა ჩვენი ძმა,
ჩვენი მძახალი...
ყველა დაჩაგრულს, ქირთამთმენს გფარავდეთ
ღმერთი მაღალი!
არ გავტყდეთ! თუმცა ზოზინით, მაინც წინ მიდის
ალალი.

ეგებ გვიშველოს ამდენმა ზონდირებებმა, აცრებმა,
ეგებ კონსენსუსს მიაგნონ დიპლომატების აზრებმა,
პრეზიდენტი გვყავს ისეთი, გველის ღობეში გაძვრება,
ბატონ ედუარდს ვუსურვოთ ჯანმრთელობა და
გაძლება!

ჩვენი სალამი პარლამენტს, ქვეყნის წესრიგით
მმართავსა:
გვჯერა, შეგვიქმნის კანონებს უტყუარს,
მაგარ-მართალსა,
გვჯერა,ძირშივე ჩაახშობს საუბარს ალთა-ბალთასა, -
ენადგაკრეფილ მედროვეს არ დააფარებს კალთასა!

სულიერ მამათ ვუსურვებ,აშენონ რწმენის კედელი,
ურღვევი, შეუმუსრავი, გაუტეხ-გაუკვეთელი,
ალაგმონ ბილწი სატანა სულის და გონის
მწყმედელი,
მახაბამ რაინდად ჰყავდეთ მღვდელი თევდორე
კველთელი.

სალამი მიწის მუშაკთა, ქვეყნის მარჩენალ გლეხებსა,
სულ ყველა ამერ-იმერელს, ხულოელს,
ლაგოდეხელსა,
უღლის მთლელს, ურმის მკეთებელს, ჯამბარის
ღვედის მგრეხელსა,
ყველგან და ყველა საქმეში ყამირის პირველ
მტეხელსა!

სალამი ქვეყნის მშენებლებს, ინჟინრებსა და მუშებსა,
ვინც კარგ მანქანებს შეგვიქმნის, წუნს კი არ
გამოუშვებსა,
ვინაც გაგვათბობს და დაგვიხსნის ლამპის ქვარტლიან
შუშებსა,
მათი ნაღვაწი მოყვასსა მრავალ წყლულს
მოუშუშებსა!

მე და ჩემს ძვირფას კოლეგებს ძალიან დაგვიღვრემია:
არც წიგნი, არც ჰონორარი, აღარც ჯილდო და
პრემია!
რა ხდება? ქართულ მწერლობას თითქოს ღვთის
რისხვა სცემია!
ეგება ჩვენაც გვიშველოს, თუ არ დაინთქა გემია...

ეს საახალწლო მილოცვა არა მართოდენ ჩემია, -
მოგესალმებათ გელათის ახალი აკადემია!

*ალექსი ჭინჭარაული*







საქართველოს საფოსტო ბანკი
ყველაზე საიმედო ბანკია!